ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა"
+
ალექსანდრე მაკედონელი
8 ლარი




სამშაბათი, 10 სექტემბერი, 2013 №214 (6215) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი: „თითქმის ვიცი, ვინ შემცვლის"

გვ.2



## ალეკო შალამბერიძე: „კბილაშვილს უკბილო ხუმრობის თავიც აღარ აქვს"



ერთი საქართველოს ნაკრები გაგა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და მეორე ნაციონალები დაბრუნდებიან ხელისუფლებაში

გვ.3



## სოხუმში გუშინ დილით რუსი დიპლომატი მოკლეს

გვ.5

## ზვიად ძიძიგური: „ივანიშვილის ყველა გადაწყვეტილება ზუსტია"

გვ.2






გვ.5

## ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილის გადაწყვეტილება ქვეყნის ღალატის ტოლფასია"



გვ.4

## გიგი უგულავა თბილისის საკრებულოს აკრიტიკებს

## გიორგი ვაშაძე ნოდარ ხადურს სიცრუეში ადანაშაულებს



გვ.2

გვ.2



## ვანო მერაბიშვილი: „მე პოლიტპატიმარი ვარ"

## მიხეილ სააკაშვილი: „გვირჩევდნენ, უკან დავბრუნებულიყავით, მაგრამ მყინვარწვერი მაინც დავლაშქრეთ"

გვ.4



გვ.4



## „ნაციონალური მოძრაობა" დავით საგანელიძეს ზეწოლაში ადანაშაულებს

ISSN 1987-9385

2 ირაკლი ალასანია: „2014 წელს საქართველოს ნატოში გაწევრიანება არარეალურია"

6 სქესობრივი დანაშაულებისთვის დაწესებული სასჯელები მკაცრდება

7 საგარეო უწყება რუსეთის ბრალდებებს უარყოფს

4 რიჩარდ ნორლანდმა ამერიკული ლაბორატორია შეაქო

# ბიძინა ივანიშვილი: „თითქმის ვიცი, ვინ შემცვლის“

შორენა მარსაგიშვილი

მთელი ერის ყურადღება პრემიერ ბიძინა ივანიშვილისკენ არის მიმართული. დიდი და პატარა, მეოცნებე, ნაციონალი თუ სხვანი ველოდებით თუ როდის დაასახელებს ივანიშვილი თავის შემცვლელს. პოლიტიკიდან რომ მიდის ამას უკვე შევეჩვიეთ და გამოვიგლოვეთ კიდევაც. ახლა ველოდებით ვინ იქნება ის, რომელიც მთავრობას უნდა გაუძღვეს.

ამ დღეებში უამრავი ვერსია მოვისმინეთ პრემიერის შემცვლელთან დაკავშირებით. ზოგი მოვიწონეთ, ზოგი დავიწუნეთ. თუმცა მგონია ტყუილად შევყარეთ ქვეყანა. ივანიშვილი სულ სხვას დაასახელებს. მას უცნაური გადაწყვეტილებები ახასიათებს და არც აქ დაუშვებს გამონაკლისს.

ივანიშვილის განცხადებით, მას პრემიერის პოსტზე თავისი შემცვლელის ვინაობა პრაქტიკულად გადაწყვეტილი აქვს, თუმცა ეს საკითხი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჯერჯერობით შესათანხმებელია.



— მე თითქმის გადაწყვეტილი მაქვს ჩემი შემცვლელის კანდიდატურა, მაგრამ ეს პარტნიორებს უნდა შევუთანხმო. ამას მე, ერთი კაცი არ გადავწყვეტ. ჩემი ვარიანტი პოლიტიკურ საბჭოსაც, პარლამენტსაც და მთავრობასაც უნდა შევუთანხმო. ხოლო როდესაც შეთანხმებას დავიწყებ, ამას საზოგადოებაც გაიგებს. ახლა საქართველოში მთავარი მოვლენა საპრეზიდენტო არჩევნებია და ძირითადი აქცენტები მასზე უნდა გადავიტანოთ და არა იმაზე, თუ ვინ იქნება მომავალი პრემიერი, — განაცხადა რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა.

მას მიღებული გადაწყვეტილების გამო ბევრი გმობს. მიიჩნევენ, რომ პასუხისმგებლობას გაურბის. თავად პრემიერი ასე არ ფიქრობს.

— მე კი არ მივდივარ და პასუხისმგებლობას კი არ გავურბივარ, არამედ უფრო რთულ სფეროში გადავდივარ. მე პოლიტიკაში შემოსვლის პირველივე დღიდანვე განვაცხადე, რომ ამ დროში მოვალ პოლიტიკაში, დავალაგებ, ჩემს გასაკეთებელს გავაკეთებ და წავალთქო. წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ ჩემი გასაკეთებელი გაკეთებულია. როდესაც ვნახავ, რომ საქართველოში აბსოლუტურად სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია იქნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადავალ სხვა სფეროში და ძირითადს მივხედავ. მთავრობა საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილია. საზოგადოება უფრო ფართო და უფრო მთლიანი ცნებაა და მარტო ერთ ნაწილს, რატომ უნდა გადაყვე? ის ნაწილი კი, რომელსაც მთავრობა ჰქვია, იმ საზოგადოების საუკეთესო ნაწილი იქნება, — აცხადებს პრემიერი.

ამბობს, რომ პოლიტიკაში თავისი როლი და მისია უკვე შეასრულა. სააკაშვილი და მისი გუნდი პოლიტიკიდან გაისტუმრა. ამიტომაც უკან დაბრუნებას აღარ აპირებს.

— სააკაშვილს წლების განმავლობაში ძალიან ბევრ რჩევას ვაძლევდი და ვეხმარებოდი მანამ, სანამ ის პოზიტიური პრეზიდენტი იყო და ჩვენი ქვეყანაც სწორი გზით მიდიოდა. ჩვენი ურთიერთობები მას შემდეგ გართულდა, რაც მან დემოკრატიული ფასეულობები უგულვებელყო. მე მოვახერხე და ის, მის გუნდთან ერთად, პოლიტიკიდან გავისტუმრე. მე ჩემი მისია შევასრულე და რამდენიმე კვირის შემდგომ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდება, მე მივდივარ. პოლიტიკაში ჩემი როლი უკვე შევასრულე, შევებრძოლე არსებულ ხელისუფლებას, რომელიც დემოკრატიული არ იყო, მოვახერხე ცვლილებები და დავტოვებ ძალიან კარგ გუნდს. ვფიქრობ, რომ ჩემი ახალი როლი უფრო საინტერესოა და მე პოლიტიკაში შემოსვლას საერთოდ აღარ ვაპირებ. — განაცხადა ესტონეთის პრემიერთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა.

პოლიტიკაში ის ხელისუფლების შესაცვლელად მოვიდა. შარშანდელ არჩევნებზე სერიოზული წარმატებაც მოიპოვა და ნაციონალებს ძალაუფლება წაართვა. თუმცა სააკაშვილი და მისი გუნდი პოლიტიკიდან არ გაუსტუმრებია. რეგიონებში ნაციონალები ძველ პოზიციებს ნელ-ნელა იბრუნებენ. და თუ ასე გაგრძელდა შესაძლოა ხვალ ისევ მობრუნდნენ.

# გიორგი ვაშაძე ნოდარ ხადურს სიცრუეში ადანაშაულებს

შორენა გონგლაძე

უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გიორგი ვაშაძე ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებს. როგორც ვაშაძემ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ხადური ატყუებს საზოგადოებას, როდესაც ის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდაზე საუბრობს“.

—ეკონომიკაში რომ რთული მდგომარეობა, ეს არავისთვის საიდუმლო არ არის. ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ეკონომიკური ზრდის პროცესი დაიწყო, მაგრამ დღეს ხალხს უფრო უჭირს, ვიდრე უჭირდა გუშინ და გუშინწინ. სამწუხაროა, რომ ფინანსთა მინისტრმა ახლა დაიწყო დღგ-ს დაბრუნებაზე ზრუნვა. ბიუჯეტში ჩვენ გვაქვს 348 მილიონიანი გარღვევა. წლის ბოლოს კი ეს მაჩვენებელი 600 მილიონს მიაღწევს. ხადური აცხადებს, რომ ქამრების შემოჭერა დაიწყო ხელისუფლებამ, ეს კი მათ ძვირადღირებულ მანქანებზე არ აისახება. ხადური მიჩვეულია ტყუილებს და საზოგადოების მოტყუებას, — აცხადებს ვაშაძე.

— ნაციონალური მოძრაობის' ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, ხელისუფლება ვანო მერაბიშვილის პროცესს შეგნებულად აჭიანურებს, რათა საზოგადოებას არჩევნებამდე არ ჰქონდეს პასუხი, არის თუ არა რეალურად დამნაშავე ვანო მერაბიშვილი. პროცესის ხელოვნურად გაჭიანურება მეტყველებს იმაზეც, რომ გამოძიებას მერაბიშვილის მიმართ შესაბამისი მტკიცებულებები არ გააჩნია. ეს განცხადება გიორგი ვაშაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ვაშაძის თქმით, სწორედ ამას ემსახურება მერაბიშვილის საქმის ქუთაისის სასამართლოში გადატანაც. ვაშაძე აცხადებს, რომ მერაბიშვილის მიმართ გადაწყვეტილება არაუფლებამოსილმა პირმა



გამოიტანა, რასაც ისინი ადგილობრივი ინსტანციების შემდეგ სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრებენ.

— ფაქტია, რომ ხელისუფლებამ მიზანმიმართულად სცადა და პროცესი გადაიტანა ქუთაისში და ვანო მერაბიშვილს ბრალი არაუფლებამოსილმა მოსამართლემ წაუყენა. ადვოკატები ამ უკანონობას აუცილებლად გაასაჩივრებენ საქართველოს შიგნითაც და გარეთაც. მერაბიშვილის სასამართლო პროცესებს ხელოვნურად აჭიანურებს ხელისუფლება, რადგანაც საზოგადოებას არჩევნებამდე არ ჰქონდეს პასუხი მის უდანაშაულობასთან დაკავშირებით, — აცხადებს ვაშაძე.

# ზვიად ძიძიგური: „ივანიშვილის ყველა გადაწყვეტილება ზუსტია“

შორენა გონგლაძე

პრემიერ-მინისტრის ვინაობა გაირკვევა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი დატოვებს დაკავებულ თანამდებობას, — ეს განცხადება უმრავლესობის წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა „პრაიმ-ტაიმში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ძიძიგურის განცხადებით, ივანიშვილის ყველა გადაწყვეტილება იმდენად სწორი იყო, შეუძლებელია, რომ ამ შემთხვევაშიც რაიმე უზუსტობას ჰქონდეს ადგილი. ზვიად ძიძიგურმა ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია „საქართველოს რკინიგზის' გენერალური დირექტორის, მამუკა ბახტაძის შესაძლო გაპრემიერებასთან დაკავშირებით.

— პრემიერის გადაწყვეტილებები იმდენად სწორია, რომ მეშინია გავაკრიტიკო მისი გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ. პრემიერის შემცვლელზე საუბარი აქტუალური და მნიშვნელოვანი თემებია და მომავალი პრემიერის ვინაობა გაირკვევა მას შემდეგ, რაც ის წავა თანამდებობიდან, ხოლო როდის წავა ივანიშვილი, ეს ჯერ დადგენილი არ არის, — განაცხადა ძიძიგურმა.




ზვიად ძიძიგური საპრეზიდენტო არჩევნებში „საქართველოს გზის“ საპრეზიდენტო კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის რეგისტრაციის საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ ეს თემა პოლიტიკურად აჟიტირებულია.

—სალომე ზურაბიშვილის რეგისტრაციაზე პოლიტიკური აჟიოტაჟია ატეხილი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს მისი ფუნქცია. ეს არის სასამართლოს და ცესკოს საკითხი, ამიტომაც აუცილებელია არ მოხდეს პოლიტიკური ჩარევა. როგორც ცნობილია, დღეს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ვენეციის კომისიას ამასთან დაკავშირებით სპეციალური კითხვები გადაუგზავნა, — აცხადებს ძიძიგური. მისივე თქმით, ახალი ხელისუფლება არ აპირებს თავისუფალი სასამართლოს კონპეტენციაში ჩარევას და სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებას პატივს სცემს.

რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, ძიძიგური აცხადებს, რომ ასეთი მშვიდი არჩევნები ცხოვრებაში არ უნახავს.

— ასეთი მშვიდი არჩევნები ცხოვრებაში არ მინახავს, არ მოვსწრებივარ და ვფიქრობ, რომ ეს კარგია. ეს არის არჩევნები, სადაც კანდიდატები ატარებენ წინასაარჩევნო კამპანიას ქვების სროლის, ცემა-ტყეპის, ერთმანეთთან სერიოზული დაპირისპირების გარეშე, — აცხადებს ძიძიგური. მისივე თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ ხდება ადმინისტრაციული ან საბიუჯეტო სახსრების გამოყენება ერთი კონკრეტული კანდიდატის მიმართ, ასევე არ ხდება ძალადობა სხვა კანდიდატებზე.

# ვანო მერაბიშვილი: „მე პოლიტპატიმარი ვარ“

პატიმრობაში მყოფი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, სოციალური ქსელების მეშვეობით განცხადებას ავრცელებს და თავს ბიძინა ივანიშვილის მთავრობის პოლიტპატიმრად მიიჩნევს. მერაბიშვილის თქმითვე, ის ყველაფერს გააკეთებს, რათა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს.

„ამ კვირაში ჩემს წინააღმდეგ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდების თაობაზე სასამართლო პროცესი იწყება. მეც და ჩემი დამცველებიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ როგორც ამ, ასევე ყველა სხვა საქმეზე სასამართლოში ჩემი სრული უდანაშაულობა დავამტკიცოთ.

ძალიან კარგად მესმის, რომ ეს პოლიტიკური პროცესია და მე ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკური პატიმარი ვარ. ისიც მესმის, რომ ჩემი დაპატიმრება, მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დასასუსტებლად და მოახლოებული არჩევნების წინ ჩვენი პარტიის რიგებში დაბნეულობისა და დეზორგანიზაციის შემოსატანად მოხდა.

მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო საზოგადოებისთვის, რომ ქუთაისის სასამართლოში ჩემი საქმე მხოლოდ იმიტომ წაიღეს, რომ პროკურატურას მოსამართლე ახალბედაშვილისგან გარანტია ჰქონდა მიღებული, რომ ის ჩემი წინასწარ პატიმრობაში აყვანის სრულიად დაუსაბუთებელ და უკანონო განაჩენს გამოიტანდა.

შემდეგი ნაბიჯი იყო, როდესაც მოსამართლე გურულს გადაწყვეტილება ძალაში დაატოვებინეს. ესეც უპრეცედენტო დარღვევაა! მოსამართლე გურული საერთოდ არ იყო უფლებამოსილი განეხილა ეს საკითხი. საქართველოს კანონმდებლობით ამ მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება მიეღო გადაწყვეტილება, მაგრამ იმდენად დიდია ივანიშვილის სურვილი, რომ მე ციხეში ვიყო, მთავრობა ამ პროცედურულ დარღვევებზეც წავიდა.

დარწმუნებული ვარ ამ დარღვევებს სტრასბურგის სასამართლო ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. როგორც საერთაშორისო, ასევე ჩვენი საზოგადოება სულ მალე დარწმუნდება, რომ სახეზეა მხოლოდ პოლიტიკური დევნა და ამ ყველაფერს სამართალსა და სამართლიანობასთან საერთო არ აქვს.

სამართლებრივი ბრძოლის ამ ახალი რაუნდის დაწყების წინ, ყველა ჩემს გულშემატკივარს დიდ მადლობას ვუხდი“ — ნათქვამია განცხადებაში.

მედიანიუსი



# ირაკლი ალასანია: „2014 წელს საქართველოს ნატოში გაწევრიანება არარეალურია“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, ვარაუდი და მოლოდინი იმის თაობაზე, რომ საქართველოს 2014 წელს ნატოში მიიღებენ, არარეალურია.

„უნდა გავაცნობიეროთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არც ხვალ და არც მალე არ მოხდება. თუმცა საქართველოს და ნატოს შორის თანამშრომლობა დინამიურად მიმდინარეობს და ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ საკუთარი ინსტიტუტები განვავითაროთ. ჩვენი და ნატოს სამხედროების ურთიერთქმედება თითქმის იგივე დონეზეა, რაც ალიანსის შიგნით. ჩვენ საკუთარი პოლიტიკური ამბიციები გვაქვს, რაღა თქმა უნდა ქართულ ინტერესებს განვავითარებთ და ადრე თუ გვიან რუსეთი მიხვდება, რომ ერთიანი და სტაბილური საქართველო, რუსეთის ინტერესებშიც ასევე შედის“ — აცხადებს მინისტრი. ირაკლი ასალანიას თქმითვე, რუსეთის ცნობილი პოლიტიკაა, რომ ის საქართველოში ნატოს განვითარების წინააღმდეგია, თუმცა საქართველო საკუთარი ეროვნული ინტერესებით მოქმედებს.

„ეს ქართველი ხალხის არჩევანია და არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება“ — განაცხადა ალასანიამ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო შალამბერიძე: „კბილაშვილს უკბილო ხუმრობის თავიც აღარ აქვს“

### ერთი საქართველოს ნაკრები გავა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და მეორე ნაციონალები დაბრუნდებიან ხელისუფლებაში

შორენა მარსაგიშვილი

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე ამბობს, რომ მეოცნებეების რეიტინგი მკვეთრად დავარდა. ამის მიუხედავად, ეჭვი არ ეპარება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს მათი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მოიგებს. რატომ გაიმარჯვებს მარგველაშვილი, რაზე მიანიშნებს ივანიშვილის განცხადებები და რა შემთხვევაში დაბრუნდებიან ნაციონალები ხელისუფლებაში, ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— ნაციონალების და რიგი ექსპერტების მტკიცებით, ქვეყანა თავზე გვემხობა. ამ ნგრევას მარტო ისინი ამჩნევენ თუ თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ქვეყანაში რთული ვითარებაა, მაგრამ თავზე ნამდვილად არ გვემხობა. ქვეყანა ნაციონალებმა და მათმა მატყუარა ლიდერმა სააკაშვილმა დაგვამხეს თავზე. მათ მოდგმასა და ბუნებას კარგად ვიცნობ და კარგად ვიცი, რას ემსახურება მათი შეშფოთებები. მთელი მათი მმართველობა ტყუილებზე იყო აგებული, მთელი 9 წელი სიცრუესა და ილუზიებში გვაცხოვრეს და ახლაც იმავეს აგრძელებენ. ვიმეორებ, რომ ქვეყანაში რთული ვითარებაა, მაგრამ განგაშის საფუძველი ჯერ არ არის და თუ დღეს მძიმედ არის საქმე, ეს, პირველ რიგში, ნაციონალების დამსახურებაა. მათ დათესილს დღემდე ვიმკით. განსაკუთრებით მწვავედ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა დგას. არანაკლებ მწვავეა ის დუხჭირი ყოფა, რომელშიც ნაციონალებმა ჩააგდეს ხალხი.

***— ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა საქართველოს წინაშე ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლამდეც იდგა. ამიტომ უსამართლობა იქნება ამ ცოდვის მარტო მათთვის აკიდება.***

— ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა ნაციონალების სულიერ ლიდერს შევარდნაძეს უკავშირდება. ნაციონალების ძირითადი ბირთვი სწორედ ედუარდ შევარდნაძემ გამოზარდა და დააფრთიანა. რაც შეეხება ტერიტორიებს, ნაციონალები რომ მოვიდნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კიდევ ვაკონტროლებდით ადგილებს. კოდორის, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობები ჩვენი იყო. ამათ კიდევ მთლიანად მოწინააღმდეგეს ჩააბარეს ყველაფერი. კოდორი საერთოდ უბრძოლველად დათმეს. მათი დანაშაულებრივი პოლიტიკის წყალობით რუსეთმა ცხინვალის და სოხუმის დამოუკიდებლობის აღიარება შეძლო. ამ ვითარებაში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება.

***— ძალიან ძნელი თუ შეუძლებელი, რუსეთი ამბობს, რომ აღიარებას უკან არ წავიღებთო.***

— პოლიტიკაში ბევრი უცნაურობა ხდება. პოლიტიკაში შეუძლებელი არაფერია. მთავარია, ჩვენ სწორად და თანმიმდევრულად გადავდგათ ნაბიჯები. დღეს და ხვალ დაკარგულ ტერიტორიებს არავინ დაგვიბრუნებს, მაგრამ ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდება. ნაციონალების წივილკივილი კი გულთან ახლოსაც არ უნდა მივიტანოთ. მით უმეტეს, რომ ეს შიდა მოხმარებისთვის არ არის. ამ ხმაურით მათ დასავლეთის ყურადღების მიპყრობა სურთ. უნდათ დასავლეთს დაანახონ, როგორ ებრძვიან რუსეთს და როგორ ებრძვის მათ ამის გამო ივანიშვილის ხელისუფლება. ნაციონალები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქართველოს პრემიერი პრორუსული ძალაა.

***— თქვენი აზრით, არის ივანიშვილი პრორუსული?***

— მართალი რომ გითხრათ, ივანიშვილის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევა ძალიან რთულია. ის ხშირად ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. ამ გაუგებარი განცხადებების ფონზე, ნამდვილად მოსაწონი იყო ევრაზიული კავშირის ირგვლივ დაფიქსირებული პოზიცია. ადამიანმა თქვა, შევხედოთ, რა სიტუაცია იქნება და ისე მივიღოთ გადაწყვეტილებაო. ეს ნორმალური პოლიტიკოსის განცხადება იყო. ამაზე ნაციონალები გამოენთნენ და ერთი ამბავი ატეხეს.

***— ევრაზიულ კავშირზე გაკეთებული განცხადება არც მეოცნებეთა ნაწილს მოეწონა.***

— არც მათ არ მოეწონათ. არადა, ისეთ განცხადებებზე უკრავენ ტაშს, გაგიკვირდება ადამიანს. ძლივს ერთი ნორმალური განცხადება გააკეთა და დაგმეს. იმას კი ვერავინ უარყოფს, რომ საქართველომ რუსეთთან მოლაპარაკებები აუცილებლად უნდა დაიწყოს. ივანიშვილი ამ მიმართულებით დადებით ნაბიჯებს დგამს.

***— ამბობთ, რუსეთთან მოლაპარაკებები აუცილებელიაო. დაიწყო კიდევაც ეს მოლაპარაკებები, მაგრამ რაში გამოგვადგა? ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.***

— ვერ დაგეთანხმებით, რომ შედეგი არ არის. წინა კვირაში გრიგორი კარასინმა გააკეთა მნიშვნელოვანი განცხადება. მან თქვა, რომ რუსეთი მზადაა სირიაში მყოფი საქართველოს მოქალაქეები გამოიყვანოს. ეს ერთგვარი დიპლომატიური ჟესტი იყო. მე არ ვამტკიცებ, რომ ეს დიდი ამბავია. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ პოლიტიკა უარის თქმის და ფეხების გაფშეკის საგანი არ არის. გული მწყდება, რომ ამ პროცესებში საქართველო თავის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს. სომხებმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს და რუსეთთან საბაჟო კავშირის გაფორმება დაიწყეს. ბაქოში ჩავიდა პუტინი და



აზერბაიჯანში რუსული გემები შევიდა. ჩვენი მეზობლები ამ პროცესებს მეტ-ნაკლები დიპლომატიური აქტიურობით ხვდებიან. ჩვენ დიპლომატიურ ნაბიჯებს ვერ ვდგამთ. ამ ფონზე ივანიშვილის განცხადება ნამდვილად დადებითი მოვლენაა.

***— ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში რუსეთი თავად გახდება ევროკავშირის და ნატოს წევრი. ამაზე რას ფიქრობთ?***

— რუსეთი და ნატოს წევრობა? აქ მართლაც რთულად არის საქმე. ასეთ განცხადებებს რომ აკეთებს, მაგიტომაც უნდა პოლიტიკიდან წასვლა. ეს კაცი პოლიტიკის აზრზე არ არის. ეგ და მაგის მთავრობა ნაციონალებივით იმასაც ამტკიცებდნენ, ნატოს წევრები სულ მალე გავხდებითო, მაგრამ, ნურას უკაცრავად. იქ ჩვენ არავინ მიგვიღებს!

***— თქვენ საიდან იცით, რომ არ მიგვიღებენ?***

— რასმუსენმა თავისი პირით თქვა, 2020 წლამდე ნატო არ გაფართოვდებაო. არც 2020 წლის შემდეგ არ მიგვიღებენ. იმიტომ, რომ გერმანია და საფრანგეთი რუსეთის წინააღმდეგ არასდროს არ წავლენ.



***— მოდით, ნატოს შევეშვათ და ისევ შიდა პროცესებს დავუბრუნდეთ. „ქართული ოცნების“ შიგნით სერიოზული უთანხმოებაა და როგორც ამბობენ, შესაძლოა კოალიცია მალე დაიშალოს. თქვენც ამჩნევთ ამის ნიშნებს?***

— კოალიციაში ისეთი ჭრელი ხალხია თავმოყრილი, რომ იქ ჰარმონია უბრალოდ შეუძლებელია. თავის დროზე შევარდნაძეც ამბობდა, ჩემი პოლიტიკური ბლოკი არ დაიშლება იმიტომ, რომ ხარისხიანი ცემენტით ვაშენეო. მაგრამ მალევე დაეშალა მარტივ მამრავლებად მოქკავშირი. აქაც იგივე მოხდება, ოღონდ უფრო მარტივ მამრავლებად დაიშლებიან და ეს ივანიშვილის დამსახურება იქნება.

***— რატომ იქნება მისი დამსახურება, პოლიტიკიდან წასვლაზე რომ საუბრობს დღეგამოშვებით?***

— ეს მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ აქ მთავარი სხვა მიზეზია. ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი და პოლიტიკას ზედაპირულად უყურებს. მან კოალიციაში უცნაური ხალხი შეიყვანა. გადაწყვეტილების მიღებისას სუბიექტური იყო. ყველამ ვიცით, რომ პრემიერი თავისებური ადამიანია, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებისას ნამეტანი თავისებური აღმოჩნდა. ამის ნათელი მაგალითი პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის დასახელება გახლავთ.

***— მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად ბევრს არ მოსწონს. ასახელებენ თავის არგუმენტებს. თქვენ რატომ იწუნებთ მას?***

— პირადად მარგველაშვილს არაფერს ვერჩი, მაგრამ საპრეზიდენტო კანდიდატად მისი წამოყენება მეტისმეტია. გულდასმით მოუსმინეთ მის განცხადებებს და მიხვდებით, რომ ეს კაცი არ შეიძლება პრეზიდენტი იყოს.

***— ბიძინა ივანიშვილს რატომ მოეწონა ის?***

— მე ფსიქოლოგი არა ვარ, რომ განწყობის თეორიაზე ვისაუბრო. ბიძინამ შეხედა მარგველაშვილს, ევასა და საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა. ახლა გამოდის და გვაძალებს, გინდა თუ არა, თქვენც მოიწონეთო.

***— თავის ბოლო პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა გვითხრა, რომ თუ მარგველაშვილს პრეზიდენტად არ აირჩევთ, იმაზე ადრე წავალთ პოლიტიკიდან, ვიდრე ვაპირებდიო. ბევრმა ეს ულტიმატუმად აღიქვა. თქვენ როგორ შეაფასებთ?***

— ეს ულტიმატუმი არ ყოფილა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ივანიშვილი პოლიტიკის აზრზე არ არის. მისი განცხადებები პოლიტიკიდან წასვლის შესახებ პირდაპირ ურტყამს მარგველაშვილს. მერე ვიღაცეები ეუბნებიან, რომ რაღაც არასწორად თქვა და განმარტებებს აკეთებს. მერე ეს განმარტებები ხდება განსამარტი და ასე მიდის ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება.

***— ექსპერტების აზრით, გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტური გახდება საჭირო. ივანიშვილი ამტკიცებს, ჩვენი კანდიდატი პირველივე ტურში გახდება პრეზიდენტიო. თქვენ რას გკარნახობთ პოლიტიკური ალღო?***

— გონივრული ეჭვი მაქვს, რომ გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებს. ხალხი მას აუცილებლად მისცემს ხმას. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობა პოლიტიკურად ჯერ ვერ მომწიფდა. ჩვენ კიდევ ვერ ვისწავლეთ ვის მივცეთ ხმა. საქართველოში საარჩევნო პროგრამას არავინ უყურებს. ხმას აძლევენ, ვინც კაშკაშებს.

***— გინდათ თქვათ, რომ გიორგი მარგველაშვილი კაშკაშაა?***

— არა, რა კაშკაშა და მნათობი. კაშკაშა ვარსკვლავი ახლა ისევ ივანიშვილია. მისი სიკაშკაშე ასხივოსნებს მარგველაშვილს და ამიტომ დაუჭერს მას ხალხი მხარს.

***— ეს კაშკაშა ივანიშვილი პოლიტიკურ ჩაქრობას რომ აპირებს, ეს ხალხის განწყობაზე გავლენას არ იქონიებს?***

— როგორ არ იქონიებს. ოღონდ ეს განწყობა არჩევნებამდე არ შეიცვლება. ხალხი ასე უცბად არ შეაქცევს ზურგს ოცნებას.

***— ზურგს არც იმედგაცრუების გამო შეაქცევენ? ყველანი ვხედავთ, რომ ხალხი იმედგაცრუებულია. დაპირებული სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, ოცნება ნაციონალებს ჩაეხუტა.***

— ეს ხალხის დიდ და სამართლიან გაღიზიანებას იწვევს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ივანიშვილი იმიტომ აირჩია, რომ სამართლიანობის აღდგენის პირობა დადო. ეს პირობა არ შესრულდა და ხალხსაც ნელ-ნელა გამოაქვს დასკვნები. ბევრი ალბათ მათ ხმას აღარ მისცემს. ჩემ გარშემო 41 ნომრის შემოხაზვას არავინ აპირებს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მაინც მარგველაშვილი გაიმარჯვებს. იმედია, რომ მომავალში პრეზიდენტებს და დეპუტატებს სიკაშკაშის მიხედვით აღარ ავირჩევთ.

***— შეუსრულებელ დაპირებებს რა ბედი ეწევა? გიორგი მარგველაშვილი გვპირდება, რომ კოჰაბიტაცია 27 ოქტომბერს დასრულდება.***

— არაფერიც არ დასრულდება. მარგველაშვილმა ეგ საკენკი სხვებს დაუყაროს. კოჰაბიტაციის დასრულება რომ სდომნოდათ, არც დაიწყებდნენ. ან რას ნიშნავს 27 ოქტომბერს დასრულდება? 28 ოქტომბერს დილით სააკაშვილს დაიჭერენ თუ რა მოხდება? სამართლიანობის აღდგენა რომ სურდეთ, გარწმუნებთ, 27 ოქტომბერს არ დაელოდებოდნენ. ეს ფრაზა წამოისროლა მარგველაშვილმა და ახლა მთელი ოცნება მის „გაპრავებაზე“ მუშაობს.

***— რატომ გგონიათ, რომ არ უნდათ სამართლიანობის აღდგენა, ნაციონალებთან საერთო ინტერესები გამონახეს?***

— თავიდან მართლა კარგად დაიწყეს მუშაობა. თეა წულუკიანის და არჩილ კბილაშვილის განცხადებებიც ყველას გვახსოვს. ხალხსაც გაუჩნდა იმედია, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო. ამ დროს ნაციონალები მიყუჟულები იყვნენ და შიშით ხმასაც ვერ იღებდნენ. შემდეგ თავის დასავლეთელ პარტნიორებს სთხოვეს შველა და იმათაც აიძულეს ახალი ხელისუფლება, შეეწყვიტა ეს პროცესი. ახლა ნაციონალები უკვე ხმამაღლა საუბრობენ და ხალხს იქეთ ემუქრებიან. კბილაშვილს კი უკბილო ხუმრობის თავიც აღარ აქვს. დასავლეთი ძალიან ცუდად ერევა ჩვენს საშინაო საქმეებში. ეს ჩარევა არც 27 ოქტომბრის შემდეგ დასრულდება. ამიტომაც არ მჯერა, რომ კოჰაბიტაცია მაგ დღეს დასრულდება.

***— დასავლეთი ასე ძალიან რატომ იკლავს თავს ნაციონალების გამო?***

— მათ სააკაშვილთან ბევრი რამე აკავშირებთ. ამასთან. სურთ, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები წავიდეს.

***— ნაციონალების გადარჩენა დემოკრატიული პროცესია?***

— მათთვის დემოკრატიული პროცესია. გასულ წელს არჩევნების გზით შეიცვალა ხელისუფლება. საქართველოში დამარცხებული ძალა პოლიტიკიდან ქრებოდა. დასავლეთი ახალ სტანდარტს გვიმკვიდრებს და გვაჩვევს იმას, რომ პოლიტიკაში დამარცხებულები რჩებიან და მათ არ ასამართლებენ.

***— გამოდის, რომ ნაციონალებს არავინ დასჯის?***

— არც მთლად ეგრეა საქმე. ჩვენ თუ დასავლეთს წარვუდგენთ სათანადო დოკუმენტაციას და დავარწმუნებთ მათ დანაშაულში, ხმას ვერავინ ამოიღებს. ახალმა ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და სათანადო საბუთები მოამზადოს. მათთვის მთავარი საქართველოს მოსახლეობის განწყობა უნდა იყოს და არა ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსების. ძალიან არ მომეწონა, თომას ჰამერბერგის აზრზე რომ იყო დამოკიდებული სკანდალური ფირების განადგურების ამბავი.

***— ამ ფირების განადგურებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. თქვენი აზრით, უნდა მომხდარიყო თუ არა ამ ფირების განადგურება?***

— ეს ფირები არ უნდა გაენადგურებინათ. კახი კახიშვილმა მშვენიერი არგუმენტები დაასახელა. სამწუხაროდ, მისი მოსაზრებები არ გაითვალისწინეს და ფირები გაანადგურეს. ვიღაცები ამაზე თავს იმიტომ იკლავდნენ, რომ მათზეც იყო რაღაცები გადაღებული. ეს ხალხი ტყუილად გაისარჯა. ამ ფირების ასლები არსებობს და ისინი ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოაქვეყნონ.

***— ჩვენთან მავანს ამ ფირების განადგურება რომ სურდა, გასაგებია, მაგრამ აი ევროპელები რატომ იკლავდნენ თავს. ვიცით, რომ კუდი და სოდი დიპლომატებსაც უთვალთვალებდა. მათზეც რაიმე ხომ არ ჰქონდათ გადაღებული?***

— აბა, რა გითხრათ, ის ფირები მე არ მინახავს და არც ფარული გადაღებებით ვყოფილვარ დაკავებული. ცუდია, ეს ფირები რომ გაანადგურეს. ცუდია იმიტომაც, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კვლავ სხვების კარნახით ვიმოქმედეთ. თუ მართლა დამოუკიდებელი ქვეყნის აშენება გვინდა, მაშინ სხვების კარნახით სიარულს და ნაციონალების დაკრულზე ცეკვას თავი უნდა დავანებოთ.

***— ნაციონალები ხმებსავრცელებენ, ჩვენი მეორედ მოსვლა დაიწყოო. მართლა დაბრუნდებიან?***

— ჩვენი ნაკრები უფრო მალე გავა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ვიდრე ესენი პოლიტიკაში ძველ პოზიციებს დაიბრუნებენ. თუმცა, თუ ოცნებამ ასე გააგრძელა, შესაძლოა, მობრუნდნენ. ამ ნაციონალებს კი დასავლეთიც აღარ უყურებს სერიოზულად.

***— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?***

— ხშირად ვესწრები ხოლმე უწყებათაშორისი კომისიების სხდომებს. იქ ნაციონალებიდან ხან ჩიორა თაქთაქიშვილი მოდის, ხან თინა ბოკუჩავა. სულ ზეწოლაზე ტირიან. ამ შეხვედრას უცხოელი დიპლომატებიც ესწრებიან. ეს ხალხი რომ გამოდის სიტყვით, თარჯიმანს ეუბნებიან, არ გვითარგმოთ, ისედაც ვიცით, რას იტყვიანო.

# გიგი უგულავა თბილისის საკრებულოს აკრიტიკებს

მერი ნამორაძე

თბილისის მერიასა და საკრებულოს შორის ურთიერთკრიტიკა ამხანაგობების დაფინანსების პროგრამის შესახებ გრძელდება. ამჯერად უშუალოდ თბილისელების მერმა, გიგი უგულავამ გააკრიტიკა საკრებულო და მისი გადაწყვეტილება ამხანაგობების პროგრამის დაფინანსების შეწყვეტის შესახებ. უგულავამ პასუხისმგებლობა საკრებულოს თავმჯდომარეს და იმ 24 დეპუტატს დააკისრა, ვინც ამ საკითხს მხარი დაუჭირა. ქალაქის მერის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თავხედურმა და აღვირახსნილმა არაკომპეტენტურობამ კიდევ ერთხელ დააზარალა თბილისელების ინტერესი.



— საკრებულოში შექმნილი სარევიზიო კომისია ვერც არსებით რამეს მოიტანს და წინასწარვე პოლიტიკურად მოტივირებულია, რომ არაფერი ვთქვათ მისი კომპეტენციის ხარისხზე. რა თქმა უნდა, ეს უკავშირდება, სამწუხაროდ, იმ გადაწყვეტილებას, იმ არაკომპეტენტურ, დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას, რომელიც საკრებულომ მიიღო. მე ვგულისხმობ ამხანაგობების პროგრამების შეჩერებას. ამით მათ სილა გააწნეს უამრავ თბილისელს, რომელიც კორპუსში ცხოვრობს, პრობლემები აქვს და რომლის პრობლემების ეფექტური მოგვარების საშუალება არის ეს. მათი არგუმენტი უსუსურია, თითქოსდა ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები არიან ისინი, არავის კოორდინატორები ისინი არ არიან, ისინი არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელიც კორპუსმა აირჩია და, შესაბამისად, აი, ამ პროგრამების განხორციელებისთვის იღებდნენ ძალიან მცირე, დაახლოებით 100 ლარ ანაზღაურებას", — აცხადებს დედაქალაქის მერი და დასძენს, რომ ახალმა უმრავლესობამ არ გაითვალისწინა წინამორბედების მოსაზრებები, რის შედეგადაც შეწყდება ლიფტების, სახურავების, შიდა კომუნიკაციების, სადარბაზოების კეთილმოწყობის დაფინანსება.

გიგი უგულავა მწუხარებას გამოთქვამს, რომ საკრებულო ჯერჯერობით ვერაფერს გააკეთებს, რადგან საბიუჯეტო ცვლილება ნოემბრამდე აკრძალულია საპრეზიდენტო არჩევნების გამო.

— პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, თავიდან ბოლომდე ეკისრება პირადად საკრებულოს თავმჯდომარეს და ასევე იმ 24 ადამიანს, ვინც ამ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი. მათი არგუმენტი აბსოლუტურად უსუსურია, თითქოს მერიის მიერ წარდგენილ ბიუჯეტში იყო ეს. ბუნებრივია, ჩვენ მიერ წარდგენილი ბიუჯეტი იყო, მაგრამ ვიცოდით რა, რომ შეიძლება ბიუჯეტი ჩავარდნილიყო და საერთოდ საბავშვო ბაღების და ყველაფრის პარალიზება მომხდარიყო, ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით დავთანხმებოდით ამას, მაგრამ ასევე გავაფრთხილეთ იმ შედეგებზე, რომელიც დადგებოდა. შედეგი იქნება ძალიან სავალალო და სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თავხედურმა და აღვირახსნილმა არაკომპეტენტურობამ კიდევ ერთხელ დააზარალა თბილისელების ინტერესი, — განაცხადა თბილისის მერმა.

საკრებულომ თავის დროზე განმარტა, რომ თანხები, რომლებსაც ამხანაგობების თავმჯდომარეები იღებდნენ, ავარიული სახლების შესაკეთებლად იქნა გადამისამართებული. უახლოეს მომავალში კარგად გამოჩნდება, რომელი მხარეა თბილისელებთან გულწრფელი — რამდენი ავარიული სახლი შეკეთდება და რამდენად ხარისხიანად გაკეთდება ყველაფერი.

# რიჩარდ ნორლანდმა ამერიკული ლაბორატორია შეაქო

მერი ნამორაძე

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის ფუნქციებს ისე არავინ დაუეჭვებია, როგორც მომხმარებელთა უფლებებისა და ადამიანის კეთილდღეობის ზედამხედველობის რუსეთის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო. ონიშჩენკოს მტკიცებით, ლუგარის ცენტრი აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალების ლაბორატორია გახლდათ, რომელსაც ვერ აკონტროლებდა საქართველოს ხელისუფლება და საშიშროებას წარმოადგენდა რუსეთისათვის. ქართველი სპეციალისტების თქმით, უსაფუძვლო ეჭვები არაერთხელ გაჟღერდა ლაბორატორიის ფუნქციისა და ამოცანების შესახებ, მიუხედავად ქართული მხარის მიერ გაკეთებული განმარტებებისა. ეჭვების გასაქარწყლებლად ქართულმა მხარემ რუსი მეცნიერები ლუგარის ცენტრში ერთობლივი კვლევებისთვის მიიპატიჟა, რასაც უნდა გაექარწყლებინა კიდეც ეჭვები.



გუშინ, რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს მუშაობის გაცნობის მიზნით საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები ესტუმრნენ. განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან მუშაობის ბიოუსაფრთხოების „მე-3" დონის თანამედროვე საერთაშორისო ცენტრში შეხვედრას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და დაავადებათა კონტროლის ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე დაესწრნენ.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, რაც ამერიკასა და საქართველოს ბოლო 20 წლის განმავლობაში ერთობლივად განუხორციელებიათ. როგორც ელჩმა ლუგარის ცენტრში სტუმრობისას განაცხადა, ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი ამერიკა-საქართველოს ინტერესის გათვალისწინებით აშენდა და, რაც მნიშვნელოვანია, ლაბორატორიას საქართველოს მთავრობა განაგებს.

„თქვენ ვერსად ნახავთ ამგვარ ლაბორატორიებს, საქართველომ ამით უნდა იამაყოს. დღეს, როდესაც გვეკითხებიან, რისთვის აშენდა ეს ცენტრი, ჩვენი პასუხია, ამ ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ადამიანებსა და ცხოველებში ეპიდემიური დაავადებების გავრცელება თავიდან იყოს აცილებული", — განაცხადა ელჩმა და დასძინა, რომ ლაბორატორია რეგიონული მნიშვნელობისაა.

მისივე შეფასებით, ეს არის ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობის ნაწილი და ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რაც 20 წლის განმავლობაში ამერიკასა და საქართველოს ერთად განუხორციელებიათ.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის, იგივე „რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის" მშენებლობა და აღჭურვა 2011 წლის მარტში დასრულდა. იგი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან მუშაობის ბიოუსაფრთხოების „მე-3" დონის თანამედროვე საერთაშორისო ცენტრს. როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ამ ცენტრს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდზედამხედველობის, ფუნდამენტური და გამოყენებითი ბიო-სამედიცინო მეცნიერებების (ბიოტექნოლოგიური მეცნიერებების) განვითარებისთვის. ცენტრის ძირითადი ფუნქციაა დაავადებათა კონტროლი, ლაბორატორიული ეპიდზედამხედველობა და რეაგირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა გამოვლენა, ლაბორატორიული დიაგნოსტიკა და პრევენცია. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი კი წარმოადგენს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ინფექციური და არაგადამდები დაავადებების ეპიდზედამხედველობის, გარემოს ჯანმრთელობის, სამედიცინო სტატისტიკის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაზე.

გუშინ ხაზგასმით აღინიშნა ცენტრის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რომელიც გულისხმობს გადამდები და არაგადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემცირებას, გარემოს საზიანო ზემოქმედებისა და ქცევითი რისკ-ფაქტორების შეფასებასა და კორექციას მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის გაუმჯობესების მიზნით. ლუგარის ცენტრში ხორციელდება ასევე გამოყენებითი და ფუნდამენტური ბიოსამედიცინო და ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო კვლევები.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან „რიჩარდ გ.ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის" ინტეგრაცია 2013 წლის მაისში განხორციელდა. ლაბორატორია უნიკალურ რეგიონალურ სამეცნიერო კვლევით ცენტრს წარმოადგენს, რომელშიც პროექტები ღია პროგრამის პრინციპებით ხორციელდება და მასში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და ექსპერტები იღებენ.

# „ნაციონალური მოძრაობა" დავით საგანელიძეს ზეწოლაში ადანაშაულებს

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არაერთხელ გააკეთა განცხადება საქართველოს რეგიონებში თვითმმართველობებსა და გამგეობებზე ზეწოლისა და შანტაჟის ფაქტების შესახებ. ხელისუფლების (განსაკუთრებით ძალოვანი უწყებების) განსაკუთრებულ აგრესიას ადგილი იმ რაიონებში აქვს, სადაც საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები არიან.

ამ ერთი წლის განმავლობაში თანამდებობები მხოლოდ იმ გამგებლებმა და საკრებულოს თავმჯდომარეებმა შეინარჩუნეს, რომლებმაც თავის პარტიულ კუთვნილებაზე უარი თქვეს და კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალ რომელიმე პარტიაში გადაინაცვლეს ან უპარტიოები გახდნენ.

თუმცაღა აღმოჩნდნენ „ურჩებიც", რომლებმაც ზეწოლისა და შანტაჟის მიუხედავად მაინც არ თქვეს უარი ენმ-ს წევრობაზე. ასეთების მიმართ ხელისუფლება უფრო მკაცრ მეთოდებზე გადავიდა. ამის მაგალითია სრულიად აბსურდული მიზეზებით ადიგენის გამგებლის, მარტვილის გამგებლის მოადგილის, ვანის საკრებულოს თავმჯდომარის დაკავება. სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების არარსებობის გამო, ეს პიროვნებები არსებით განხილვამდე წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებულნი არიან, მაგრამ შედეგი, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ისახავს მიზნად მიღწეულია — ისინი თანამდებობებს აღარ იკავებენ.

ბოლო განცხადება ენმ-ს მხრიდან ამ თემაზე ა.წ. 5 სექტემბერს გაკეთდა, სადაც ის რაიონები იყო ჩამოთვლილი, სადაც ბოლო პერიოდში ზეწოლამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო: მარტვილი, ვანი, ონი.

როგორც ჩანს დადგა ონის ჯერი. ბოლო ერთი თვეა ონის გამგებელზე, კობა გამყრელიძეზე და მის მოადგილეებზე, თეიმურაზ გრძელიშვილსა და მიხეილ ბიძიშვილზე ზეწოლა მიმდინარეობს, რათა ისინი თანამდებობიდან გადადგნენ. ამის შედეგად, თეიმურაზ გრძელიშვილმა საკუთარი განცხადებით დატოვა თანამდებობა და მის ადგილას ნუგზარ ბიჭაშვილი, ონის პოლიციის ყოფილი უფროსი დაინიშნა. ნუგზარ ბიჭაშვილი რამდენიმე წლის წინ გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან სამსახურეობრივი გადაცდომის გამო (საქმე შეეხებოდა მკვლელობისათვის დაპატიმრებული მისი ნათესავისადმი ზედმეტად ლოიალურ დამოკიდებულებასა და გამოძიებისთვის ხელის შეშლას).



რაც შეეხება მოქმედ გამგებელს, კობა გამყრელიძეს, მის მიმართ თავდაპირველად დამოკიდებულება განსხვავებული იყო, მას სთავაზობდნენ სამსახურს — ადგილობრივი სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილეობას. უარის შემდეგ საქმეში უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები ჩაერთნენ, შედგა არაერთი შეხვედრა — ემუქრებიან მისი და მისი ოჯახის წევრებისთვის პრობლემების შექმნით.

მთელი ამ პროცესის ორგანიზატორები კი არიან და უშუალოდ ხელმძღვანელობენ პარლამენტის წევრი დავით საგანელიძე და კოალიცია „ქართული ოცნების" ხელმძღვანელი ალექსანდრე ბერიშვილი" — ნათქვამია განცხადებაში.

ნიუსპრესი

# მიხეილ სააკაშვილი: „გვირჩევდნენ, უკან დავბრუნებულიყავით, მაგრამ მყინვარწვერი მაინც დავლაშქრეთ"



„მჯერა, რომ არ არსებობს მიზანი, რომელსაც ერთობით ვერ მივაღწევთ! საქართველოს მომავალი მყინვარწვერივით ნათელია! დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენ ყველა მწვერვალს დავიპყრობთ!" — ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მყინვარწვერის დალაშქვრის შემდეგ გააკეთა.

„გზის სირთულის მიუხედავად დასახულ მიზანს მაინც მივაღწიეთ! მთის ბოლო მონაკვეთზე ალპინისტური თოკებითა და სხვა სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ავედით. თოკში ჩაებნენ ასევე უკრაინისა და ირანის მოქალაქეები, რომლებიც გზაში შემოგვხვდნენ. სწორედ ამ ინტერნაციონალური ერთობით, 5047 მეტრზე, სიმბოლურად, საქართველოს დროშა აღვმართეთ.

გზაში რამდენიმე უკან მობრუნებული ჯგუფი შეგვხვდა, რომელიც ჩვენც გვირჩევდა მსვლელობის შეწყვეტას, რადგან მათ, მწვერვალთან სიახლოვეს არსებული ძლიერი ქარის გამო, ასვლა შეუძლებლად მიაჩნდათ, მაგრამ მეორედაც უკან მობრუნება ჩვენ ნამდვილად არ გვხიბლავდა. იქ, მყინვარის თავზე განსაკუთრებული სიმძაფრით ხვდები თუ რა ლამაზი და განსაკუთრებულია ჩვენი საქართველო" — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის წერილში.

ნიუსპრესი

# ყაზბეგში დღეს ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნება

საქართველო-რუსეთის საზღვარზე დღეს, განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი „ყაზბეგი" გაიხსნება. ახალ საბაჟო ინფრასტრუქტურას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და შემოსავლების სამსახურის უფროსი ლაშა ხუციშვილი გახსნიან საზღვრის გახსნას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტრის, საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები, ასევე პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე, პარლამენტის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრებიან.

ნიუსპრესი

# ლიტველმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ლიტვის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე ოთხი არალეგალი დააკავეს. დაკავებულთაგან ერთი საქართველოს მოქალაქეა.

მესაზღვრეებმა ის ერთ-ერთ საზღვრისპირა სოფელში, ავტობუსის გაჩერებაზე დააკავეს. მამაკაცმა ვერანაირი დოკუმენტაცია ვერ წარადგინა და ასევე ვერ ახსნა, თუ როგორ მოხვდა ლიტვაში, თუმცა განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეა.

მესაზღვრეებმა, კინოლოგიური სამსახურის დახმარებით, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობა დაადგინეს. საქართველოს მოქალაქის გარდა დაკავებულები არიან სომხეთის ორი და უკრაინის ერთი მოქალაქე.

ნიუსპრესი

# ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილის გადაწყვეტილება ქვეყნის ღალატის ტოლფასია“

## რა საფრთხე ემუქრება საქართველოს თურქეთიდან

შორენა კოწოწაშვილი

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ კოალიციურმა ხელისუფლებამ, რომლის გამარჯვებაშიც საზოგადოების უმეტესობამ გულწრფელად ბევრი იმუშავა, ქართველ ხალხს უღალატა. რა შეცდომას უშვებს ბიძინა ივანიშვილი, ვის გაურიგდნენ „ოცნების“ მაჟორიტარები და რამდენად უპრობლემოდ ახორციელებს თურქეთის სპეცსამსახურების აგენტურული ქსელი საქართველოში თურქეთის სახელმწიფოს ინტერესების დაკმაყოფილებას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან.

— ბატონო ჯონდი, როგორ შეაფასებდით პოლიტიკური კუთხით ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. მართლაც წარმატებულია თუ არა კოალიციური მთავრობა, როგორც პრემიერი აფასებს საკუთარი მთავრობის მუშაობას?

— მე ამიტომაც ვამბობ, პრემიერი ინფორმაციას არ ფლობს. ასეთ განცხადებას ისეთი პრემიერი არ გააკეთებდა, რომელსაც ობიექტური ინფორმაცია აქვს ქვეყანაში რეალურად შექმნილ ვითარებაზე. ბიძინა ივანიშვილი არის ინფორმაციულ ფუტლიარში, იზოლაციაში და ეს არის მისი არჩევანი. იმიტომ კი არა, რომ ის ვიღაცამ ძალით მოაქცია ამ იზოლაციაში, მას, როგორც ჩანს, ასე მოსწონს. ვიმეორებ. პრემიერთან არ აქვთ კომუნიკაცია იმ ადამიანებს, წესიერ და კვალიფიციურ ხალხს, რომლებსაც საქმის გაკეთების სურვილი აქვთ. პრემიერი არის გარემოცული ვიწრო ჯგუფით. ეს არის მლიქვნელობაში გაწაფული ხალხი, რომლებიც მას მისთვის სასიამოვნოდ მოსასმენ ინფორმაციას აწვდიან. ამიტომაც არის ივანიშვილის მხრიდან შემდგომში ასეთი არაადეკვატური განცხადებები. რეალურად სიტუაცია არის ძალიან მძიმე ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური, გნებავთ, პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ქვეყანაში უკვე პოლიტიკურად არასტაბილური გარემო ყალიბდება. ძალიან მძიმე მდგომარეობაა ქვეყნის გარეთაც. განსაკუთრებულად საფრთხის შემცველია სირიაში მოსალოდნელი შეჭრა დასავლეთის სახელმწიფოების. ვფიქრობ, პრემიერი ადეკვატურად ვერ აფასებს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და ეს ძალიან ცუდია.

— ფიქრობთ, რომ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი უყურადღებოდაა დარჩენილი და სირიის ფაქტორი სათანადოდ არ ფასდება? ფაქტია, არც ივანიშვილის მთავრობა და უშიშროების საბჭოს მდივანი არ თანამშრომლობენ, ამას ქვეყნის ინტერესები ეწირება?

— მე თუ მკითხავთ, ბოკერიასთან თანამშრომლობა არც არის საჭირო იმიტომ, რომ ბოკერია, უბრალოდ, დამნაშავეა. მასთან ართანამშრომლობა ხელს სრულებითაც არ უშლის რეალური ანალიზის გაკეთებას. უბრალოდ, პრემიერ-მინისტრმა უნდა მოახერხოს და თავი უნდა დააღწიოს იმ ინფორმაციულ ბარიერებს, რომელიც მის წინაშე აქვს შექმნილი ამ მლიქვნელ ადამიანებს. რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოებას, ერთმნიშვნელოვნად მინდა ვთქვა: ქვეყნის მთავრობას, ხელისუფლებას, პრემიერ-მინისტრს, პირველ რიგში, არ აქვს გაცნობიერებული საფრთხეები, რომელიც სირიის კრიზისს შეიძლება მოჰყვეს. ეს არ არის ერაყი და არც ავღანეთი. სირიაში ერთმანეთს ძალიან ძლიერად დაუპირისპირდა ორი დიდი სახელმწიფოს — აშშ-ის და რუსეთის ინტერესები. პრაქტიკულად მათი ურთიერთობა ჩიხშია შესული. დღეს ორივე სახელმწიფო, ამერიკაც და რუსეთიც, ცდილობს პოზიციების შენარჩუნებას. ამერიკის პოზიციების შენარჩუნება იმაში მდგომარეობს, რომ სირიაზე შეტევა უნდა მიიტანოს, რუსეთისთვის კი იმაში მდგომარეობს, რომ ამას წინააღმდეგობა გაუწიოს. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს ორი გიგანტი თუ დაეტაკა, აი, აქ, ჩვენთან სულ ახლოს, სამეზობლოში და თუ ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა კვლავ გააგრძელა ასეთი მატრაკვეცული განცხადებების გაკეთება და „შეტენვა“ რაღაც უაზროდ და მოწოდებები, ჩვენ ჩავერთვებით კონფლიქტში, ეს ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს საქართველოსთვის. და რატომ: ერთადერთი სახელმწიფო, ვინც აქედან იხეირებს, ეს არის თურქეთი. თურქეთს და მის ხელისუფლებას აწუხებს სიზმრები თურქეთის ძველ საზღვრებში — თურქ-ოსმალთა იმპერიის საზღვრებში აღდგენის. ისინი ღიად აცხადებენ, რომ სირია, იემენი, ბელღაზი, აჭარა — ეს არის თურქ-ოსმალთა იმპერიის შემადგენელი ნაწილები და ამ ნაწილებზე მათი პოლიტიკური გავლენა და თურქეთის იურისდიქცია უნდა აღდგეს. ამას თურქეთის ხელისუფლება ღიად აცხადებს. სირიაში ასე თავგამოდებით შეჭრას იმიტომ ითხოვს თურქეთი, რომ ეს სწორედ მათი ამ ავი სიზმრების ერთი ნაწილია. წარმოგიდგენიათ, თუკი ეს შეჭრა განხორციელდა, მაღალი ალბათობით, ალბათ რაღაც ღონისძიებები გატარდება, მაშინ აშშ-ს და სირიაზე თავდასხმაში მონაწილე ქვეყნებს, აუცილებლად დასჭირდებათ თურქეთში განლაგებული სამხედრო ბაზების გამოყენება. რა თქმა უნდა, გამოიყენებენ იორდანიასაც, ისრაელსაც, მაგრამ ძირითადად შეტევა უნდა განხორციელდეს თურქეთის მხრიდან. შესაბამისად, თურქეთის მნიშვნელობა დასავლეთისთვის უფრო გაიზრდება. ასე ფიქრობს თურქეთის ხელისუფლება. პარალელურად თურქულმა სპეცსამსახურებმა საქართველოში შექმნეს ყველაზე დიდი აგენტურული ქსელი და აქტიურად, აგრესიულად მოქმედებენ. ცდილობენ წყლის ამღვრევას, რომ მერე ამ ამღვრეულ წყალში ოქროს თევზი დაიჭირონ.

— ოქროს თევზის დაჭერაში რას გულისხმობთ?

— ეს თევზი მათთვის არის აჭარაზე და ახალციხეზე გავლენის აღდგენა. წარმოიდგინეთ, თუ ჩვენ ამ მატრაკვეცობას გავაგრძელებთ, თუ მეორე მხრიდან რუსეთი დაიწყებს ჩვენთან თავისი ინტერესების გაძლიერებას, წარმოიდგინეთ, რა დღეში შეიძლება ჩვენი ქვეყანა და ხალხი ჩავარდეს. ამიტომ ვაფრთხილებ მატრაკვეცა პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ შეეტენონ, მონური ერთგულება დაუმტკიცონ ვინმეს და ცდილობენ ისეთი განცხადებები გააკეთონ, რომ ქვეყანა ახალ შარში გახვიონ, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისგან, რომელმაც შეიძლება ქვეყანას საგარეო ასპარეზზე ახალი პრობლემები შეუქმნას უსაფრთხოების და ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით.

— ქართული სპეცსამსახურები ვერ ფლობენ ინფორმაციას თურქი კოლეგების ქართული ინტერესების საწინააღმდეგო საქმიანობის შესახებ თუ შეგნებულად ხდება თვალის დახუჭვა?

— საერთოდ, ისტორიულად, წლების განმავლობაში ქართული სპეცსამსამსხურები გამოირჩეოდნენ თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით. ძველი ტერმინიც მინდა გავიხსენო, საბჭოთა კავშირის დროს დამკვიდრებული — ყველაზე ძლიერი ჩეკისტები, მაშინ „ჩეკა“ იყო, ქართველები იყვნენ. ეს მართლაც ასე იყო. დღესაც საქართველოს საკმაოდ კარგი სპეცსამსახური ჰყავს. საკმაოდ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსებით. გარდა ამისა, ჩვენს სპეცსამსახურებს კიდევ მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურების დახმარებით კიდევ უფრო მეტი რესურსი აქვს. თუმცა, სპეცსამსახურმა რომ იმუშაოს, ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება და პოლიტიკური ხელმძღვანელობის დავალება. პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი ჯერ ერთიანი არ არის. ერთი ალთასაა, მეორე — ბალთას. მთავარი ხელმძღვანელი — პრემიერ-მინისტრი მიდის და ახლა მისი წასვლით არის დაკავებული. ამიტომ აი, ასეთი შედეგები გვაქვს. რა თქმა უნდა, შეკითხვის მნიშვნელობა გავიგე. აშკარად ასეა და გეთანხმებით. ჩვენი სპეცსამსახურების უმოქმედობა შეიმჩნევა, მაგრამ იმიტომ არა, რომ ჩვენ სუსტი სპეცსამსახურები გვყავს. უბრალოდ, მათ არ აქვთ კონკრეტული დავალება. წლების განმავლობაში ჩვენი სპეცსამსახურების ძირითადი დავალება იყო ოპოზიციურ პარტიებზე და პოლიტიკურ ოპონენტებზე ნადირობა, მათზე თვალ-თვალი და მიყურადება. რომ გითხრათ, ახლა ამაზე ბოლომდე ხელი აიღესმეთქი, ამაში მთლად დარწმუნებული არ ვარ. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სპეცსამსახურებმა მიიღონ დავალება, რომ ალაგმონ ასეთი განუკითხავი თარეში თურქული თუ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების.



— ბატონო ჯონდი, თქვენ აღნიშნეთ, რომ ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. პოლიტიკური თვალსაზრისში რა იგულისხმეთ და რეალურად, სად შეეშალა ივანიშვილს და მის გუნდს?

— ყველა ხელისუფლებას ეშლება იქ, სადაც იწყება ხალხის მოტყუება და დანაპირების არშესრულება. აი, აქ შეეშალა ყველას ერთად, ხელისუფლებაში მოსულ ხალხის. ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა იყო და არის ღირსების და პრინციპის საკითხი. ეს გზა გადის ყოფილი კრიმინალური რეჟიმის წევრთა გასამართლებაზე. იმ პირთა გასამართლებაზე, რომლებმაც კონკრეტული დანაშაული ჩაიდინეს; და გასამართლებაზე იმ დანაშაულობების გამო, რაც მართლა ჩაიდინეს და არა ვაშლის გათლის გამო, რის გამოც, მაგალითად, ბაჩო ახალიას ასამართლებენ. ამიტომ, ეს იყო მნიშვნელოვანი შეცდომა — ხალხის მოტყუება, რის გამოც ამომრჩეველში დაკარგეს ნდობა. შემდგომში, ამას უკვე შეცდომა აღარ ჰქვია, ეს უკვე დანაშაულია, რასაც სჩადიან „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრები, განსაკუთრებით მაჟორიტარები, ხაზგასმით მინდა ვთქვა, ყველა მაჟორიტარი არა, მაგრამ ბევრი მათგანი. ეს არის ხარბი, ანგარებითი გარიგება ბანდასთან — ნაციონალურ მოძრაობასთან. მათი ძირითადი საქმიანობა მიმართულია პირადი კეთილდღეობის მოწყობაზე, პირად გამდიდრებაზე და არა ქვეყნის, ხალხის გაძლიერებაზე. შესაბამისად, შედეგმაც არ დააყოვნა — ქვეყნის ეკონომიკა შეფერხებულია, ხალხი სამუშაო ადგილებს კარგავს, ხალხის ქონება დაყადაღებულია აქვთ ბანდებს და მევახშეები ატრიალებენ ჩვენი ძველი და ახალი ხელისუფლების არალეგალურ თუ ლეგალურ ფულებს. ამან, რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხის სოციალური მდგომარეობა გაამწვავა. არ შესრულდა ტარიფების დაპირება, არ შესრულდა პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდის შეპირება. ჩემი აზრით, არასრულფასოვანი პაკეტია „საყოველთაო დაზღვევის პაკეტი“. კარგია, ეს რომ არის, მაგრამ არასრულფასოვანია. შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო. მისი იმპლემენტაციაც მნიშვნელოვანი ხარვეზებით და შეფერხებებით მიმდინარეობს. და კიდევ, ბევრი სხვა დეტალია, რომელმაც ქვეყანაში გაამძაფრა განცდა უსამართლობის და გაზარდა ნაპრალი ხელისუფლებასა და ხალხს შორის.

— თქვენ კონკრეტული ფაქტებით იცით „ქართული ოცნების“ მაჟორიტარების და ნაციონალი დეპუტატების გარიგების თაობაზე?

— მე ბევრი რამე ვიცი, თუმცა თქვენც რომ იცოდეთ, ამისათვის საკმარისია პარლამენტის ნებისმიერ სხდომას შეხედოთ. ღა თემებზეა მსჯელობა და კამათი და რა თემებზე მიმდინარეობს კინკლაობა, ეს იმ წუთსავე მიგახვედრებთ, თუ რა ხდება. ასეთი გულუბრყვილო და სულელი არავინ არ არის პარლამენტში, რომ ასეთ თემებზე კინკლაობდნენ და ძირითად თემებზე არ მუშაობდნენ, როგორიც არის სამართლიანობის აღდგენა, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ხალხის დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა და არა ერთმანეთთან თვალის პაჭუნი. კრიმინალურ ბანდასთან გარიგების დამადასტურებელი არის, მაგალითად, ფასები ბენზინზე, წამლებზე და ა.შ. ის, რომ ბენზინი არ იაფდება, არის გარიგების შედეგი. ერთი კეზერაშვილი კი არ ჩაანაცვლეს, გააჩოჩეს და გვერდით მეორე კეზერაშვილი ჩამოუსვეს. ამიტომ არ შემცირდა ბენზინზე ფასები. ფარმაცევტულ პროდუქციაზეც ამიტომ არ შემცირდა ფასები, რომ მონოპოლისტური კლანები შენარჩუნდნენ. უბრალოდ, ახლა სხვა ბიჭები ჩაეკვეხნენ ამ და კიდევ სხვა ბიზნესებში. გარიგება რომ არსებობს ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის, ამას ადასტურებს ის, რომ ერთ მაგალითს ვერ დაასახელებთ, უკანონოდ ჩამორთმეული ერთი ჯიხური ან ერთი ქარხანა დაბრუნებოდა ვინმეს.

— გამოდის, კოალიციის სახელით მოსული საპარლამენტო უმრავლესობის წევრები პირად კეთილდღეობაზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ქვეყნის და ხალხის ინტერესებზე.

— ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა. ეს უკვე ყველამ იცის. ხალხის ხედავს და სავსებით სამართლიანად აფასებს ამას როგორც ღალატს. ეს არის ღალატი. ვინც ივანიშვილთან ერთად გულწრფელად იბრძოდა ივანიშვილის კოალიციის ხელისუფლებაში მოსასვლელად, ძალიან უკმაყოფილოა და ვეთანხმები მათ, რომ ეს ნამდვილად ღალატია.

— ამ ღალატს საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან პრემიერი ვერ ამჩნევს, არ აკონტროლებს ივანიშვილი თავის გუნდს?

— თუ პრემიერი ამას ვერ ამჩნევს, ეს კიდევ უარესი. მე არა ვარ მომხრე ასეთი შემამსუბუქებელი თეორიების, რომ პრემიერ–მინისტრმა არ იცის, ამიტომ ქვეყანაში გარკვეული საკითხები ვერ გვარდება. მე მგონი, ბიძინა ივანიშვილის განცხადებები აჩვენებს, რომ მან ყველაფერი მშვენივრად იცის. ივანიშვილმა ერთხელ თქვა: მაჟორიტარები პატარა ფეოდალებად გადაიქცნენო, თუმცა შემდგომ ამაზე ხმა აღარ დაუძრავს. პრემიერის ბევრი განცხადება და მოქმედება აჩვენებს იმას, რომ ამის შესახებ მან რაღაცები იცის. ივანიშვილმა თვითონ გაიკეთა ისეთი გარემოცვა, რომელიც პრემიერს იმას ეუბნება, რაც მისთვის სასიამოვნოდ მოსასმენია და არა სასარგებლო.

— ეს გასაგებია, თუმცა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრის წასვლასთან ერთად დადგება მისი კაბინეტის წევრების განკითხვის დღე.

— რაც შეეხება განკითხვის დღეს, თითოეული ჩვენგანის განკითხვის დღე დადგება, როცა ღვთის წინაშე წარვდგებით. პრემიერის წასვლას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ახალი საპარლამენტო არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ხალხის კიდევ ერთხელ მოტყუება იმიტომ, რომ ხალხმა ხმა ივანიშვილს მისცა. როცა პრემიერი მიდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ხელისუფლება უნდა მოვიდეს და ახალი მთავრობა უნდა დამტკიცდეს. კონსტიტუციით მთავრობას ხალხი ირჩევს. პრემიერ-მინისტრს კი არანაირი უფლება არ აქვს, როგორც ჩანს, მან არც კი იცის კონსტიტუცია, როცა იძახის, რომ ვიღაცას დავტოვებო. თუ მიდის, გასაგებია, ჯერ ერთი, არ არის სწორი. ჩემი აზრით, ეს ბიძინა ივანიშვილის უპასუხისმგებლო განცხადებაა ასეთ დროს მისი წასვლა, მაგრამ პრემიერს ამის კანონიერი უფლება აქვს. რადგან ის ამ გადაწყვეტილებას იღებს, უფლება არ აქვს, მემკვიდრე დატოვოს. რას ნიშნავს ეს — ივანიშვილი ფარაონია და უფლისწულს გვიტოვებს? ჩვენ არ გვინდა უფლისწულები. ჩვენ გვინდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მართავდეს ქვეყანას. გახსოვთ, რა ამბავი იყო პუტინზე, თავის მემკვიდრეს ტოვებს პუტინიო. ესეც იგივე არ არის? ხალხი თითქოს პირდაღებული ელოდება, ვის დასტოვებს პრემიერი, ანდა რას ნიშნავს ჟურნალისტების შეკითხვა: ვის დატოვებთ პრემიერადო. ვის დატოვებს პრემიერ-მინისტრი კი არა, ვის აირჩევს ხალხი. თუ მიდის, კი ბატონო, წავიდეს. ეს მართლზომიერ გადაწყვეტილებად არ მიმაჩნია, თუმცა ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ ხალხმა უნდა აირჩიოს ახალი პარლამენტი, რომელიც ახალ პრემიერს დანიშნავს. თუ არადა, ეს 65 წიკლაური და 85 უსუფაშვილ-ხიდაშელი არ აურჩევია ხალხს ამ პარლამენტში. თქვენ ხომ იცით, ხალხმა აირჩია ივანიშვილი. თუ ივანიშვილი მიდის, კეთილი ინებოს და ახალი არჩევნები ჩაატაროს. ვიმეორებ, ეს არის უპატივცემულობა, როცა ლაპარაკობს, რომ ვინმეს დატოვებს და ნახავთ, რა კარგი ბიჭი იქნება. ვინ ეკითხება თანამდებობიდან გადამდგარ პრემიერს ვინმეს დატოვებას. ეს არ არის უპატივცემულობა?!

— დაბოლოს, თემა რომ გავაგრძელოთ, ექსპერტი ცისკარიშვილი არ გამორიცხავს, პრემიერის წასვლა უკავშირდებოდეს რუსეთის მოთხოვნას საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების თაობაზე.

— მინდა გითხრათ, რომ პრემიერის ყველა განცხადების კომენტირება ჭირს, რადგან მერე ამ განცხადებებს მოჰყვება თარჯიმნების გამოსვლა და განმარტებები. ისინი გვითარგმნიან, რომ ივანიშვილი ამას გულისხმობდა და ა.შ. მინდა პრემიერს ვურჩიო, თავიდანვე ის თქვას, რასაც გულისხმობს, რადგან ეს შემდგომ ერთკვირიან გაუგებრობას იწვევს. ამიტომ მიჭირს ივანიშვილის ამ განცხადების კომენტირება, მაგრამ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი პრემიერის გადადგომაში. ივანიშვილის განცხადებას გადადგომასთან დაკავშირებით რაღაც კომპონენტი, დეტალი აკლია, ანუ ივანიშვილი რაღაცას არ ამბობს და ეს ხალხში გაუგებრობას იწვევს. მართლა ასე უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება, რომ დავკარი ფეხი და წავედი, ასეც არ შეიძლება. აშკარაა, ამ ნაბიჯის ბოლომდე გარკვევას რაღაც დეტალი აკლია. ვფიქრობ, პრემიერი ვალდებულია საზოგადოებას ეს განუმარტოს. უპასუხისმგებლოდ ამართლებენ უმრავლესობის წევრები პრემიერის განცხადებას. ჩვენ მისი ადამიანურად გვესმის. ადამიანურობა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას როცა უჭირს, გვერდში დაუდგე, გაუგებრობაში ხალხი არ უნდა ამყოფო. რას ნიშნავს ივანიშვილის გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე, შუა გზაში უნდა მიატოვის დაწყებული საქმე?!

## სოხუმში გუშინ დილით რუსი დიპლომატი მოკლეს

სოხუმში, რუსეთის საელჩოს საკონსულო განყოფილების პირველი მდივანი დიმიტრი ვიშერნიოვი მოკლეს. მკვლელობა გუშინ დილით მოხდა. არსებული ინფორმაციით, ვიშერნიოვი სახუმში საკუთარ სახლთან, თავში დამიზნებნითი გასროლით მოკლეს. მკვლელობის მომენტში მასთან ერთად მისი 36 წლის მეუღლეც იმყოფებოდა.

დიპლომატის მეუღლე არ დაზარალებულა. მომხდარის შესახებ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ნიუსპრესი

# „ნაციონალების“ წარმატებული პროვოკაციული და პიარ შეტევა

წინა ხელისუფლებას, პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ და პირადად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შესაძლოა ყველაფერი დააბრალო, მაგრამ ფაქტი, რომ ისინი პროვოკაციებისა და პიარის დიდოსტატები არიან არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ამის მაგალითი ქართველმა საზოგადოებრიობამ ჯერ კიდევ 2002-2003 წელს ნახა, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე შედარებით ახლადგამოჩენილმა და პოპულარობის მწვერვალზე მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, შეძლეს და კარგად გათვლილი პროვოკაციებისა და პიარ-ტრიუკების მეშვეობით, ხელისუფლება შეცვალეს.

ყოფილი მმართველი ძალა, დაკარგული გავლენის აღდგენას და ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნებას, დღესაც ანალოგიური მეთოდებით ცდილობს და რაც ყველაზე უფრო თვალშისაცემი და სამწუხაროა, მათ, ისევე როგორც შევარდნაძის მთავრობის დროს, ანუ 2002 -03 წლებში, რეალური წინააღმდეგობა არც დღეს ხვდებათ და უფრო მეტიც, მათმა მიზანმიმართულმა პიარ - კამპანიებმა, გარკვეული შედეგები უკვე გამოიღო, რაც საზოგადოების განწყობის თვალშისაცემ ცვლაზე აისახა.

ბოლო პერიოდის ყველაზე გახმაურებული პროვოკაცია, რომელიც ყოფილ ხელისუფლებას აშკარად კარგად გამოუვიდა, ეს ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში განვითარებული მოვლენები იყო.




დაკვირვებული თვალისთვის, აღნიშნული მოვლენების ანალიზისას საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი შეიძლება დაიბადოს, რამაც შეიძლება საბოტაჟის ნიშნების გამოვლენამდეც მიგვიყვანოს.

დავიწყოთ იქედან, რომ ადიგენი, საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მშობლიური რაიონია, სადაც, სავსებით ბუნებრივია, რომ მას მხარდამჭერები და გულშემატკივრები საკმაო რაოდენობით ჰყავდეს, მით უმეტეს ისინი, ვინც ვანო მერაბიშვილის გარემოცვასთან დაახლოებულ ბიზნესწრეებთან ასოცირდებოდა. ასეთი ხალხი, რა თქმა უნდა დღესაც ყველაფერზე წავა, რომ თუნდაც ვანო მერაბიშვილის გამო, ახალი ხელისუფლების რაიმე ფორმით დისკრედიტაცია მოახდინოს, მაგრამ უფრო საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ის კონკრეტული თანამდებობის პირები, ვინც მინარეთის დაუყოვნებლივი დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და მოსალოდნელი შედეგი არ გათვალა?

რა თქმა უნდა ძალიან დიდ ეჭვს ბადებს ის საკითხი, რომ ადგილობრივმა მუსლიმებმა მინარეთი ღამით აღმართეს, თანაც ისე, რომ ამის შესახებ საქმის კურსში არავინ არ ჩაუყენებიათ. აღარაფერს ვამბობ ამ კონსტრუქციის საბაჟოზე შემოტანასთან დაკავშირებით.

თუნდაც ის ფაქტი, რომ მინარეთი ფარულად აღმართეს, საკმარისი იყო იმის შესახებ ეჭვის გასაჩენად, რომ ეს პროვოკაციულ გამოხტომას წარმოადგენდა და ამ კანონდარღვევის ხისტი ქმედებებით აღკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი დარღვევა აშკარა იყო, — მაინც არ უნდა დაეშვათ.

მინარეთის აღებამდე, ადგილობრივ პასუხისმგებელ პირებს რომ სოფლის მოსახლეობაში თუნდაც ერთსაათიანი საინფორმაციო სამუშაო ჩაეტარებინათ და განემარტათ მათთვის ზემოთნახსენები კანონდარღვევის შესახებ, სავარაუდოდ ეს პროვოკაცია ძირშივე აღმოიფხვრებოდა, პირდაპირ მინარეთის დემონტაჟის დაწყებამ კი, ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის ყველაზე მგრძნობიარე სიმზე იმოქმედა, რასაც მოჰყვა კიდეც დაპირისპირება.

ახალმა ხელისუფლებამ ამ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზის მოძიების გარდა, ის ხალხიც უნდა გამოავლინოს, ვისი ხელიც უშუალოდ ამ პროვოკაციაში ერია.

ერთადერთი, ვინც ამ მოვლენებით მოგებული დარჩა, ეს „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერია. უფრო მეტიც, მათ, ამ სავარაუდო პროვოკაციით, მინიმუმ ორი კურდღელი დაიჭირეს.

პირველი — კიდევ ერთხელ მოახერხეს და საქართველო მსოფლიოს თვალში, როგორც არატოლერანტი და ველური ხალხით დასახლებული ტერიტორია წარმოაჩინეს, რომელთაც ხელისუფლებაც შესაფერისი მოუვიდა, რის შედეგადაც, ქვეყანაში რელიგიური უმცირესობების მასიური შევიწროება-ჩაგვრა დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ ორიოდე თვის წინ, ასევე წარმატებული ავანტიურით, გარკვეულმა ძალებმა მოახერხეს და საქართველო წარმოაჩინეს როგორც არატოლერანტი ქვეყანა სექსუალური უმცირესობების მიმართ.

გარდა ამისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახერხა და ჭელას ინცინდენტით, მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგაც გაილაშქრა.

რა თქმა უნდა ვარაუდი იმისა, რომ ასეთი პროვოკაციებით, ყოფილი ხელისუფლება ძალაუფლების დაბრუნებას მალე შეძლებს, უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ აქ ორი საკმაოდ შემაშფოთებელი ფაქტორია გასათვალისწინებელი.

მათგან პირველი ისაა, რომ ასეთი ლოკალური პიარ-პროვოკაციებით და კონკრეტული მესიჯების მიზანმიმართული, მუდმივი ტირაჟირებით, წინა ხელისუფლებამ შეძლო და საზოგადოების განწყობაში გარკვეულწილად ტრანსფორმაცია შეიტანა. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ ხალხს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილი ქმედებები დაავიწყდა და ისინი მისი მხარდამჭერები გახდნენ, მაგრამ, ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ხანგრძლივ პერსპექტივაში ხალხის გარკვეულ კატეგორიას ეს შეიძლება მართლაც დაავიწყდეს, რამაც საზოგადოება გამოუსწორებელ შეცდომამდე შეიძლება მიიყვანოს.

მეორე ფაქტორი კი ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიზანმიმართულ პიარ-შეტევებს და შეიძლება ითქვას პიარ-პრესინგს, ახალი ხელისუფლება მნიშვნელოვანს ვერაფერს უპირისპირებს, რისი შედეგიცაა ის, რომ პიარის თვალსაზრისით, წინა ხელისუფლება მოქმედს, საკმაოდ დიდი ანგარიშით უგებს და უკვე სახეზეა, რომ თამაში უკვე კოალიციის ნახევარზეა გადატანილი. ამის დასტურია, ის, რომ ახალი ხელისუფლება „ნაციონალურმა მოძრაობამ,“ პრაქტიკულად თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანა და რომ არა ხალხის უდიდესი ნდობა პრემიერისა და მისი სიტყვების მიმართ, მდგომარეობა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, დღეს გაცილებით მძიმე იქნებოდა.

ის, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა და პირადად მიხეილ სააკაშვილი ყველაფერზე, მათ შორის სამოქალაქო დაპირისპირებაზეც კი წავლენ, ოღონდ მაქსიმუმ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და მინიმუმ თავისუფლება შეინარჩუნონ, არავისთვის ახალი არაა და სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს ყველაზე მეტად ახალმა ხელისუფლებამ და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მიხეილ სააკაშვილს მხარდამჭერ-თანამგრძნობები, ამავე ახალ ხელისუფლებაშიც საკმაოზე მეტი ჰყავს.

ვრცელდება მოსაზრება, რომ ყოფილი ხელისუფლება, მათ მიერ თავის დროზე „დავერბოვკებულ“ კრიმინალურ ელემენტებს ააქტიურებს და მათ დანაშაულის ჩადენას აიძულებს.

სხვათა შორის ხელისუფლების ცვლის პირველივე დღეებიდანვე, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი პიარკოზირი, სწორედ კრიმინოგენული ფონი იყო და როგორც ყველას გვახსოვს, ისინი ხშირად მანიპულირებდნენ თემით, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული თვალსაზრისით აუტანელი მდგომარეობაა.

მიუხედავად ამისა, ნაკლებსავარაუდოა, ყოფილ ხელისუფლებას იმის რესურსი გააჩნდეს, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული ფონი ხელოვნურად დაძაბოს, თუმცა ამის ცალკეული შემთხვევები არ უნდა გამოვრიცხოთ, მითუმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ მომხდარი დანაშაულის შესახებ, კობა ხაბაზის არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“ ინფორმაციას ისეთი შესაშური ოპერატიულობით ავრცელებს, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოსდა ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები დანაშაულის ჩადენის ადგილას წინასწარ იყვნენ ჩასაფრებულნი.

სხვათა შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა და ყოფილმა პარლამენტარმა კობა ხაბაზმა ამ რამდენიმე დღის წინ „თავისუფალი ზონის“ შესახებ განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია მისი წევრების ჯიბიდან დადებული თანხით არსებობს, ხოლო მათ ოპერატიულ ინფორმირებას ქვეყნის მასშტაბით, ის მოტივირებული საზოგადოება ახდენს, რომლებიც „ქვეყანაში არსებული მდგომარეობით შეწუხებულები და შეშფოთებულები არიან.“

მცირე ექსპერიმენტიც რომ ჩავატაროთ და ქვეყნის ნებისმიერ რაიონში მოსახლეობა გამოვკითხოთ იმის შესახებ თუ რამდენმა მათგანმა იცის ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ არსებობა და უფრო მეტიც, რამდენმა იცის ამ ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია, დარწმუნებული ვართ, შედეგი პრაქტიკულად ნულოვანი იქნება.

ხოლო თუ ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციასაც გავითვალისწინებთ, რომლის თანახმადაც, „თავისუფალი ზონის“ მიერ შექმნილ საინფორმაციო პორტალს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი პრესსამსახური გურამ დონაძე ხელმძღვანელობს, ბევრ რამეზე შეიძლება დასკვნის გამოტანა.

იმას, რომ მძიმე კრიმინოგენული ფონის შესახებ სურათის დახატვა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ძირითადი პიარ-მიმართულებაა, ადასტურებს მათ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების შეფასება, რომლებიც მათ „რეიდებად“ მონათლეს და აცხადებდნენ, რომ ამით მოქალაქეების უფლებები ირღვევა.

სხვათა შორის, ამ აზრის განვითარებას საზოგადოებაში, ზემოთნახსენები „თავისუფალი ზონაც“ აქტიურად ცდილობდა.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, დღევანდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მოქმედების გაკრიტიკება, ცინიზმზე უფრო მეტია, ვინაიდან ყველაზე მახინჯი ფორმა, რითაც შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიძლება არსებობდეს, იქნება ეს ავტორიტარული რეჟიმის გამამყარებელ ინსტიტუტად გადაქცევა თუ პოლიტიზირებული პოლიცია, - სწორედ მათ და დღეს პატიმრობაში მყოფმა მათმა გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა შექმნა.

ჩამოთვლა იმისა, თუ რას აკეთებდნენ პოლიციელები ვანო მერაბიშვილის დროს, შორს წაგვიყვანს და ამაზე ფაქტიურად დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, ხოლო ის, რომ დღევანდელი პოლიცია საზოგადოებაში არა ძალადობასთან და იარაღის ან ნარკოტიკის ჩადებასთან, არამედ რეალურად სამართალდამცავ ორგანოსთან ასოცირდება, სწორედ იმ სამწუხაროდ არცთუ მრავალრიცხოვან თვალშისაცემ შედეგთაგანია, რომელიც ახალი ხელისუფლების პოზიტივში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს.

სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც საკმაოდ ჭკვიანურად გათვლილ პიარ-ქმედებასთან გვქონდა საქმე, ვინაიდან სიტყვა „რეიდი,“ საზოგადოებაში შევარდნაძის დროინდელი პოლიციის ასოციაციას იწვევს და მოსახლეობის ქვეცნობიერზე ზემოქმედებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო რაც შეეხება პრევენციულ ღონისძიებებს, ის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ტარდება და ამაში უჩვეულო ნამდვილად არაფერია, მითუმეტეს, რომ ამ ღონისძიებების შედეგად საკმაოდ დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი იქნა ამოღებული.

გარდა ამისა, ვერავინ, თვით „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმაც კი, ვერ მოიტანეს თუნდაც ერთი ირიბი მტკიცებულებაც იმის შესახებ, რომ აღნიშნული ღონისძიებების დროს, პოლიციამ რაიმე ფორმით ადამიანის უფლებები დაარღვია.

ვფიქრობთ ამ შემთხვევაში ვანო მერაბიშვილის დროინდელ, დაუსჯელობის სინდრომით განებივრებულ პოლიციასთან პარალელის გავლებაც კი დაუშვებელია.

ე.წ. რეიდებზე განგაშის ატეხვა, ნაციონალური მოძრაობის მიერ, დაახლოებით რამდენიმე თვის წინ მათ მიერვე ატეხილ „განგაშს“ ემსგავსება, როდესაც საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი ვაშაძემ, პატრულ-ინსპექტორების ეკიპირებაში ვიდეოკამერების შეტანა, ლამის ტოტალური თვალთვალის ლეგალიზაციად მონათლა და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაზე გააკეთა განცხადება.

საერთოდ, პატრულ-პოლიციელთა ეკიპირებაში ვიდეოკამერების დამატება დიდი ნოვაციას არ წარმოადგენს და ამის გაკეთება წინა ხელისუფლებასაც შეეძლო, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ვანო მერაბიშვილის დროს, სწორედ პოლიციელების მიერ ირღვეოდა ყველაზე მეტად ადამიანის უფლებები, რა თქმა უნდა ამის გაკეთება და მტკიცებულებების შექმნა, მათ ნამდვილად არ აწყობდათ.

ასე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერი ისტერიკა საქართველოში პოლიციელების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს მერაბიშვილის პოლიცია, — იგივე საზოგადოების მხრიდან თანაგრძნობას, ჯერჯერობით ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიწვევს.

**ალექსანდრე კაპანაძე**
**ნიუსპრესი**

## სქესობრივი დანაშაულებისთვის დაწესებული სასჯელები მკაცრდება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა და საქართველოს მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი — „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც სქესობრივი დანაშაულებისთვის დაწესებული სასჯელების არსებითად გადასინჯვას ითვალისწინებს.

სამინისტროს პოზიციით, დღეს მოქმედი კოდექსი, აღნიშნული დანაშაულებისთვის ზედმეტად ლიბერალურ მიდგომას ითვალისწინებს და არაადეკვატურ სასჯელებს განსაზღვრავს. კანონპროექტი მთლიანად იზიარებს ასევე „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის სულისკვეთებას და აღნიშნულის შესაბამისად, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი ხასიათის დანაშაულებისთვის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ამკაცრებს.

როგორც „ნიუსპრესს“-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსის ისეთ მუხლებში, როგორიცაა გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება, სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან და გარყვნილი ქმედება.

„მაგალითად, მოქმედი კოდექსის მიხედვით, გაუპატიურებისთვის დადგენილი სასჯელის ოდენობა 4-დან 6 წელს შეადგენს, ხოლო შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, სასჯელი 6-დან 8 წლამდე გაიზრდება. გაუპატიურების ნაწილში ჩვენ კიდევ უფრო ვამკაცრებთ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ისეთი დანაშაულისთვის, როგორიცაა — გაუპატიურება ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით ან რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის მასქიმალური ვადა, ნაცვლად 15 წლისა 20 წელი იქნება. 16 წლამდე ასაკის პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებისთვის კი, დადგენილი იქნება თავისუფლების აღკვეთა 5-დან 7— წლამდე. მანამ, ამ დანაშაულისთვის 1-დან 3 წლამდე პატიმრობა იყო გათვალისწინებული. ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირთან გარყვნილი ქმედების ჩადენა კი, თავისუფლების აღკვეთით 5 — 7 წლამდე ვადით დაისჯება ნაცვლად 2 წლისა“ — აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**ნიუსპრესი**

## შსს—მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1972 წელს დაბადებული დავით ა., 1969 წელს დაბადებული კობა მ. და 1959 წელს დაბადებული ნოდარ კ. დააკავეს. სამართალდამცველებმა დავით ა. და ნოდარ კ., ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩაზე დააკავეს. ნოდარ კ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „პი-ეს-ემ“-ის მოდელის პისტოლეტი, 1მჭიდი და 8 ვაზნა.

დაკავებული დავით ა.-ს საცხოვრებელი ბინიდან კი, საგამოძიებო მოქმედებების დროს,

სამართალდამცველებმა „საიგას“ მოდელის 2 შაშხანა, 1 მჭიდი და 3 ვაზნა, ასევე „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 763 ვაზნა ამოიღეს.

იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ბრალდებულ კობა მ.-ს დაკავება კი მის საცხოვრებელ ბინაში მოხდა. სამართალდამცველებმა საგამოძიებო მოქმედების

დროს, სხვადასხვა ტიპის იარაღის ნაწილები და 208 ცალი საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე სსკს-236 მუხლის 1 და მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## მოძრაობამ — „ახალგაზრდები ნინო ბურჯანაძის მხარდასაჭერად,“ შემოქმედებითი საღამო გამართა

მოძრაობა — „ახალგაზრდები ნინო ბურჯანაძის მხარდასაჭერად“ ინიციატივით, ახალგაზრდა მხატვრებთან და პოეტებთან შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ახალგაზრდა მხატვრებმა, ლადუკა დაუშვილმა, გიორგი შველაშვილმა, ეთუნა ზედელაშვილმა და რამაზ კობიაშვილმა, დამსწრე საზოგადოების წინაშე თავიანთი ფერწერული ნამუშევრები დაასრულეს. პარალელურ რეჟიმში კი, პოეტებმა, გიორგი საჯაიამ, ბექა ნონიაშვილმა და ლიზი ბუდაღაშვილმა თავიანთი ლექსების პრეზენტაცია გამართეს.

მოძრაობის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ახალგაზრდა თაობის ხელოვანებს გვერდში უდგანან და ასეთი საღამოებით მაქსიმალურად შეეცდებიან ხელი შეუწყონ ახალგაზრდებს, რათა მათ თავიანთი ნიჭი წარმოაჩინონ და ფართო საზოგადოებას საკუთარი ნამუშევრები გააცნონ.

**ნიუსპრესი**

# ლევან ვეფხვაძე „ქართულ ოცნებას“ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებს

ნათია ხურცილავა



იუსტიციის სახლში უწყებათაშორისი კომისიის სხდომა გუშინ გაიმართა. სხდომაზე არჩევნების წინა პერიოდში არსებულ დარღვევებსა და თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებზე გაკეთდა განცხადებები. როგორც ცნობილი გახდა, წინასაარჩევნო პერიოდში უწყებათაშორისი კომისიის სხდომა ყოველ ორშაბათს გაიმართება.

გუშინ გამართულ სხდომას საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე მინისტრთა კაბინეტის წევრები ესწრებოდნენ. სხდომას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ხელმძღვანელობდა.

უწყებათაშორისი კომისიის დასრულების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, სხდომაზე მან სხვადასხვა უწყებებისგან სხვადასხვა ინფორმაციები მიიღო.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, იგი მიესალმება პროკურატურის გადაწყვეტილებას, რომელმაც ორ საქმეზე დაიწყო ძიება. მინისტრის თქმით, მათ შორის არის „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი ქალბატონის ცემის ფაქტი.

— მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, მივესალმები პროკურატურის გადაწყვეტილებას, ეს არის ძალიან მკაფიო გზავნილი ყველასთვის. არ შეიძლება ერთი ამომრჩეველი ურტყამდეს მეორეს იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა კანდიდატს უჭერენ მხარს, ჩვენ კი მათი დაცვა გვევალება, — განაცხადა წულუკიანმა.

წულუკიანი აცხადებს, რომ ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ როგორ აფარებდა წინა ხელისუფლება მსგავს ფაქტებს ხელს. ამ მხრივ კი ახალ მთავრობას პროგრესი აქვს.

წულუკიანის თქმით, ნერვიულობა და ემოციური ფონი ქვეყნის მშენებლობის საკითხს არ წაადგება. როგორც თეა წულუკიანმა განაცხადა, კომისიის წევრები უახლოეს მომავალში ბოლნისს ესტუმრებიან და შექმნილ ვითარებას ადგილზე შეისწავლიან.

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, კომისიამ წინასაარჩევნოდ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით იმსჯელა, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობებში მომხდარ ზეწოლის ფაქტებზე.

წულუკიანი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდებს, მაქსიმალურად შეინარჩუნონ სიმშვიდე და პრეზიდენტობის კანდიდატებს მიეცეთ საშუალება, რომ პოლიტიკური შეჯიბრი, დარჩენილი ორი თვის განმავლობაში, მაქსიმალურად მშვიდ და წყნარ ვითარებაში წარმართონ.

— ემოციური ფონი სახელმწიფოს შენების საკითხს არ წაადგება, — აცხადებს წულუკიანი.

უწყებათაშორისი კომისიის სხდომას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირინა იმერლიშვილიც ესწრებოდა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კომისიამ მიიღო რეკომენდაცია და მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობებს, რომ თავი შეიკავონ იმპიჩმენტის წესით საკრებულოს თავმჯდომარეების და გამგებლების გადაყენებისგან.

— მხოლოდ ორი გამგებელია გადაყენებული და ორივე მათგანი არის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, — განაცხადა იმერლიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი მიესალმება იმას, რომ ოპოზიციურ პარტიებს უწყებათაშორის კომისიაზე არანაირი შეზღუდვა არ გააჩნიათ. მისივე თქმით, გუშინ გამართულ სხდომაზე საუბარი იყო იმაზეც, რომ მინისტრები ეწევიან წინასაარჩევნო აგიტაციას, რისი უფლებაც მათ, იმერლიშვილის თქმით, აქვთ. თუმცა, ოპოზიციის მოსაზრებით, კარგი იქნება თუ მინისტრები აგიტაციისგან თავს შეიკავებენ.

იმერლიშვილი ამბობს, რომ კანონდარღვევა არც ერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან არ ფიქსირდება.

— კომისიის ფუნქციაა რეკომენდაციების გაცემა იმისთვის, რომ კიდევ უფრო სამართლიანი გახდეს წინასაარჩევნო პერიოდი, — აღნიშნა იმერლიშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გუშინ უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე განიხილეს, ცესკოს თავმჯდომარის ვაკანტური თანამდებობაა. უწყებათაშორისი კომისია შესაბამის უწყებებს მიმართავს, ცესკოს თავმჯდომარე სწრაფად დაამტკიცონ.

უწყებათაშორისი კომისიისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირინა იმერლიშვილმა იუსტიციის სახლში, უწყებათშორისი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც უსწრაფესად უნდა გადაწყდეს.

— 12 სექტემბერს იწურება ვადა, როდესაც პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატები უნდა წარადგინოს. უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციაა, რომ ნუ გამოიყენებს ბოლომდე კანონით განსაზღვრულ ამ ვადას და მაქსიმალურად სწრაფად წარადგინოს კანდიდატები. გარდა ამისა, მათი წარდგენის შემდგომ, ცესკოს კომისიის წევრებს აქვთ 5 დღე, როცა თავმჯდომარე უნდა აირჩიონ და მათდამი რეკომენდაციაც არის, რომ ბოლომდე ნუ გამოიყენებენ ამ 5-დღიან ვადას. იმ შემთხვევაში თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას თავად ცესკო ვერ მიიღებს და საკითხი პარლამენტში გადაინაცვლებს, პარლამენტისადმი რეკომენდაციაც მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად სწრაფად უყარონ კენჭი წარდგენილ კანდიდატებს და დროულად აირჩიოს პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი, — განაცხადა იმერლიშვილმა.

უწყებათაშორისი კომისიის სხდომას საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სერგო რატიანმა შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, მარტვილში, ადიგენში, ვანსა და ქობულეთში კვლავაც მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე ზეწოლა და ამ ფაქტებზე არავითარი რეაგირება არ ხდება. მისი თქმით, ზეწოლის შედეგად ონის გამგებელი გადადგომას აპირებს.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე კი მმართველ გუნდს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში ადანაშაულებს.

— ძალიან ცუდი ნიშანი იყო ორი დღის წინ, როდესაც ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ ღონისძიებაზე, სადაც საუბარი იყო საპრეზიდენტო არჩევნებზე, მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, — განაცხადა ვეფხვაძემ და დასძინა, რომ აღნიშნული საკითხი კომისიამ აუცილებლად უნდა განიხილოს.

# საგარეო უწყება რუსეთის ბრალდებებს უარყოფს

ნათია ხურცილავა

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სრულ სისულელეს უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სირიაში გამოყენებული ქიმიური იარაღი საქართველოში ქართულ-ამერიკულ ლაბორატორიაში იყო დამზადებული. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა რუსულმა ტელეარხმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს სირიაში გამოყენებული ქიმიური იარაღი საქართველოდან იყო შეტანილი და იგი ქართულ-ამერიკულ ლაბორატორიაში იყო დამზადებული.**



დავით ზალკალიანის თქმით, აღნიშნული ინფორმაცია სრული სისულელეა და ამაზე კომენტარის გაკეთება არ ღირს.

— დღეს ლაბორატორიაში ჯანდაცვის სამინისტრო პრეზენტაციას აწყობს და ამაში ჩვენც ვმონაწილეობთ. ეს არის უმაღლესი სტანდარტებით აშენებული ლაბორატორია. ის მუშაობს გამჭვირვალედ, ტრანსფარენტულად, განკუთვნილია მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისთვის, მას არანაირი სხვა მიზნები არ აქვს, ამიტომ ეს ინფორმაცია სისულელეა და ამაზე პასუხის გაცემაც არ ღირს, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა 2014 წლის შემოდგომამდე მოხდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რადოსლავ სიკორსკის ლატვიაში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერა 2014 წლის შემოდგომამდე მოხდება.

— შეხვედრის დასრულების შემდეგ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვამცნო სასიხარულო ინფორმაცია, რომ მას შემდეგ, რაც ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შეთანხმების, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის ჩათვლით, პარაფირება მოხდება, ამის შემდეგ შეთანხმებას ხელი მოეწერება 2014 წლის შემოდგომამდე, ანუ იმ პერიოდში, ვიდრე ევროკავშირის ამჟამინდელ კომისიას ვადა ეწურება და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაგალითად უკრაინა მოიყვანა, რომელიც შეთანხმების პარაფირების შემდეგ, უკვე ორი წელია, ხელმოწერას ელოდება.

— ის ფაქტი, რომ პარაფირებიდან რამდენიმე თვეში ხელმოწერა მოხდება, მიუთითებს იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს სწრაფი ინტეგრაცია ევროკავშირში, — განაცხადა ზალკალიანმა.

ასევე პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ მოქალაქეების გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივ ინფორმირებას ახდენს. როგორც დავით ზალკალიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ სამინისტრომ საქმის კურსში ჩააყენა ჟენევის თანათავმჯდომარეები.

— მას შემდეგ, რაც ეს ინფორმაცია ზაფხულის დასაწყისში ჩვენთვის ცნობილი გახდა, მყისიერად მივმართეთ ჟენევის თანათავმჯდომარეებს, მე პირადად მათ წერილი მივწერე იმასთან დაკავშირებით, რომ ცხინვალის მხრიდან იგეგმებოდა მსგავსი ნაბიჯი, რომელიც კიდევ ერთი დესტრუქციული მცდელობაა იმისთვის, რომ დაბრკოლება შეუქმნან ადამიანებს თავისუფალი გადაადგილების მხრივ და ეს არის ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევა. ჩვენი ქმედება მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება ინფორმირებული იყოს საერთაშორისო თანამეგობრობა და მათი მხრიდან მოხდეს ზემოქმედება იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანებს არ შეეზღუდოთ თავისუფალი გადაადგილების უფლება, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან ერთად, ყურადღებით აკვირდება მოვლენებს, თუმცა, ზალკალიანის თქმით, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რა კონკრეტული შეზღუდვები დაწესდება, რადგან საოკუპაციო რეჟიმი თავიანთ პირობებს გამუდმებით ცვლის.

—საბოლოო გადაწყვეტილებამდე რა წინაპირობები იქნება, ცნობილი არ არის, თუმცა ჩვენი მხრივ ამ საკითხზე საერთაშორისო თანამეგობრობა მობილიზებული გვყავს, — აღნიშნა ზალკალიანმა.

სამინისტროში სირიიდან საქართველოში დაბრუნებულ მოქალაქეებზეც გააკეთეს კომენტარი. ზალკალიანის განცხადებით, სირიიდან საქართველოს 13 მოქალაქე დაბრუნდა.

მინისტრიეს მოადგილის განცხადებით, ამ დროის მონაცემებით სირიიდან საქართველოში 13 მოქალაქე დაბრუნდა, ოთხი იმყოფება ბეირუთში, ხოლო ერთმა წამოსვლა არ ისურვა.

— ჩვენ მათ დაბრუნება შევთავაზეთ, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით ეს სიტუაციაა. ჩვენ ყველანაირად შევეცადეთ, რომ მათი უსაფრთხოების პირობები დაცული ყოფილიყო, — განაცხადა ზალკალიანმა.

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოველგვარ გარიგებას, საგარეო საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს ყველას, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელებული ნებისმიერი გარიგება, ბათილად იქნება ცნობილი და მას იურიდიული ძალა არ ექნება.

ასე გამოეხმაურა დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის იმ განცხადებას, რომლის თანახმადაც უნდა გამოცხადდეს აუქციონი და ქართველების სახლები, სადაც არავინ ცხოვრობს, სირიიდან წამოსულ დევნილებს ან რუსეთის მოქალაქეებს გადაეცეთ.

ზალკალიანის თქმით, ტერიტორია ოკუპირებულია და, შესაბამისად, ნებისმიერი გარიგება, იქნება ეს ეკონომიკური თუ სხვა სახის, იურიდიულად გამართლებული არ არის.

— ვაფრთხილებთ ყველას, ვისაც სურს აღნიშნულ ტერიტორიებზე ეკონომიკური თუ სხვა სახის გარიგება განახორციელოს, რომ ეს იქნება ბათილად ცნობილი და მას იურიდიული ძალა არ ექნება, — განაცხადა ზალკალიანმა.

გუშინ ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფარგლებში მხარეთა მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა. საქართველოდან შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი ხელმძღვანელობდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების კუთხით განხორციელებული პროგრესი და შემდგომი ნაბიჯები.

ასევე, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ბერუჩაშვილის შეხვედრები ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურისა და ევროკომისიის წარმომადგენლებთან.

საგარეო უწყების ინფორმაციით, 11 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ოფიციალური ვიზიტით შვეიცარიას ესტუმრება.

ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისიართან ნავი პილაისთან, ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისართან ანტონიო გუტიერესთან, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს პრეზიდენტთან რემინგუიშ ჰენცზელთან, გაეროს ჟენევის განყოფილების გენერალურ დირექტორთან კასიმ ჟომარტ ტოკაევთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მუდმივ ვიცე-პრეზიდენტთან კრისტინ ბირლისთან გამართავს. ასევე, ვიზიტის დროს ფანჯიკიძე გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 24-ე სესიაზე სიტყვით გამოვა.

# დავით უსუფაშვილი აშშ-ს დელეგაციას შეხვდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინასაარჩევნო ოფიციალური დელეგაციის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი, ძირითადად, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს შეეხო. სტუმრებმა პარლამენტის თავმჯდომარისაგან, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე, დღეს არსებულ ვითარებასა და წინასაარჩევნო გარემოზე მიიღეს ინფორმაცია.

საუბარი შეეხო აგრეთვე საქართველოში მიმდინარე რეფორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო, სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით ხორციელდება.

დავით უსუფაშვილმა სტუმრებს იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზეც მიაწოდა ინფორმაცია, რომლებიც ამ ეტაპზე პარლამენტში განიხილება. შეხვედრაზე ყურადღება საარჩევნო რეფორმასაც დაეთმო. პარლამენტის თავმჯდომარემ საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწაზე, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება და ამ ჯგუფის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ წინასაარჩევნო გარემო ჯანსაღი კონკურენციის შესაძლებლობებს იძლევა.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუმრების შეფასებით, როგორც წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, ასევე ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით პროგრესი უდავოდ შეიმჩნევა.

**ნიუსპრესი**

# ექსპერტებმა წინასაარჩევნო გარემო მოგვიწონეს

შორენა გონგლაძე

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საპრეზიდენტო კანდიდატთა სარეგისტრაციო ვადა ამოიწურა. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატად დარეგისტრირების მითხოვნით საარჩევნო კომისიას სულ 54-მა ადამიანმა მიმართა. გარდა იმისა, რომ პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდია, მათი უმრავლესობა საზოგადოებისთვის ნაკლებ ცნობილი ან სრულიად უცნობი ადამიანები არიან.

პრეზიდენტობის მსურველებიდან ექვს მათგანს ცესკომ კანდიდატად რეგისტრაციისთვის საჭირო შემდგომ პროცედურებზე, მათ შორის, სულ ცოტა, 26 530 ხელმოწერის (ამომრჩეველთა რაოდენობის 0.75%) შეგროვებაზე უარი უთხრა, ხოლო 17 სექტემბერს კი მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენის ვადა იწურება.

სულ ცოტა, სამ შემთხვევაში ცესკომ პოტენციურ კანდიდატებს დარეგისტრირებაზე უარი უთხრა ორმაგი მოქალაქეობის მოტივით — მათ შორის იყო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი; თუმცა ზურაბიშვილი სამართლებრივ ბრძოლას აგრძელებს და მას ჯერ კიდევ აქვს დარეგისტრირების შანსი, თუ სააპელაციო სასამართლო გააუქმებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც ცესკოს გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია.




ამ ეტაპზე ცესკომ კანდიდატებად ხუთი პირი დაარეგისტრირა; 27 სექტემბერს ცესკოს მიერ საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის ვადა იწურება. იმ პოლიტიკოსებს შორის, რომლებიც არჩევნებში აპირებენ კენჭისყრას, არიან: გიორგი მარგველაშვილი ქართული ოცნებიდან; დავით ბაქრაძე ნაციონალური მოძრაობიდან; ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გიორგი თარგამაძე; ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი; ქართული ოცნების ყოფილი დეპუტატი კობა დავითაშვილი; ლეიბორისტული პარტიის ყოფილი წევრი ნესტან კირთაძე; ტრადიციონალისტების ლიდერი აკაკი ასათიანი; ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულმა და იუსაიდის მიერ დაფინანსებულმა წინასაარჩევნო საერთაშორისო დელეგაციამ 6 სექტემბერს ფაქტების დამდგენი მისიის ვიზიტის დასრულების შემდეგ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ „ამჟამად საქართველოს ამომრჩეველი გასულ არჩევნებთან შედარებით უფრო ღია საარჩევნო გარემოთი სარგებლობს".

„ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოს მოსახლეობა დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებზე დამყარებულ საარჩევნო გარემოში ხვდება. ეს პრინციპებია: ძალაუფლების არჩევნების გზით გადაბარების პირველი პრეცედენტი; ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია; პარლამენტი, რომელიც შინაარსობრივი დებატებითა და გადაწყვეტილებებით ხასიათდება; დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხის მქონე სასამართლო; აქტიური სამოქალაქო საზოგადოება და ცოცხალი მედია გარემო", — ნათქვამია განცხადებაში. „ეს ყოველივე დადებითი, თუმცა მყიფე მოვლენებია".

მასში ასევე ნათქვამია, რომ ენ-დი-აი-ს სადამკვირვებლო დელეგაციასთან პოლიტიკური აქტიორების მიერ გამოთქმული შეშფოთებები „სერიოზულია, თუმცა ნაკლებად გავრცელებული, ვიდრე ეს წინა წელს იყო".

„თუ საქართველო ჩაატარებს არჩევნებს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მოსახლეობის ნდობით სარგებლობს, ეს თანმიმდევრულ პრინციპებსა და პროგნოზირებად წესებზე დამყარებული დემოკრატიული კულტურის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს რეგიონში განსაკუთრებული მიღწევა იქნება", — განაცხადა ენ-დი-აი-ს დელეგაციამ, „თუმცა ამის მისაღწევად საქართველოს მაღალჩინოსნები მონდომებით უნდა გაუმკლავდნენ საკითხებს, რომლებმაც შესაძლოა, საარჩევნო პროცესის სანდოობაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. დელეგაციამ მოისმინა სერიოზული შეშფოთებები პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის, დაკითხვებისა და გამოძიებების, ადგილობრივ დონეზე არჩევნების გარეშე პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებებისა და უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობის შესახებ".

შვიდწევრიანი დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: კრისტინ ტოდ უიტმანი, ნიუ ჯერსის ყოფილი გუბერნატორი და გარემოს დაცვის სააგენტოს ყოფილი ადმინისტრატორი; რობინ კარნაჰანი, მისურის შტატის ყოფილი მდივანი; პერ ეკლუნდი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი და ამჟამად სტოკჰოლმის უსაფრთხოებისა და განვითარების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი; დეიმონ უილსონი, ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი; კენეტ ვოლაკი, ენ-დი-აი-ს პრეზიდენტი; ლორა ჯუიტი, ენ-დი-აი-ს ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი და ლუის ნავარო, ენ-დი-აი-ს საქართველოს ოფისის დირექტორი.

# უხილავი დინებები „არტ ვილა გარიყულაშია"

ეკა ირემაშვილი

„არტ ვილა გარიყულა" წელს უკვე მეხუთედ მასპინძლობს ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების მეხუთე საერთაშორისო ფესტივალს. მას ორგანიზატორებმა „უხილავი დინებები" უწოდეს.

ფესტივალი, რომელიც 16 სექტემბრამდე გაგრძელდება, შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებისა და განვითარების ფონდის ინიციატივით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. — არტ-ვილა გარიყულაში ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი მეხუთედ გაიმართება. გახსნაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარიაა მიწვეული, — აღნიშნა ფესტივალის ხელმძ ღვანელმა ყარამან ქუთათელაძემ.

მისივე თქმით, „ფესტ ინ ნოვა 2013" — „უხილავი დინებები" უმეტესად ახალგაზრდა მხატვრების ფორუმია, სადაც ჰიბრიდული ობიექტები გამოიფინება. არტისტები მრავალფეროვანი კონცეფციითა და ესთეტიკით წარმოაჩენენ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა დიზაინის სიმყარე, ჩვენი დამოკიდებულება მანქანებსა და ტექნოლოგიასთან, ბგერისა და პოეტური ხედვის შერწყმა და სხვა საინტერესო თემები. ფრანგი ახალგაზრდები კანის „ვილა არსონიდან" „კულბუტოს" ჯგუფში გაერთიანდნენ, რაც არასტაბილური წონასწორობის იდეას განასახიერებს. ისინი მიწიდან იღებენ ხეს, ხდიან მობილურს, ხე ბეტონის მოედანზე მოძრაობს და, რაც მთავარია, მას სიცოცხლეს უნარჩუნებენ. „კულბუტოს" ჯგუფის გარდა, ფესტივალის ფრანგული პროექტის მონაწილეები არიან დომინიკ ფიური და გელა წულაძე.

— 70-იანი წლების პარიზის მოჯანყე არტისტების ჯგუფ „ბაზუკას" წევრი დომინიკ ფიური თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას — ალისას წარმოდგენს. ლუის კეროლის აბსურდის ჟანრის ზღაპარი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში" ფიურისთვის ერთგვარი გასაღებია, რომლითაც ახალი შესაძლებლობებისთვის იხსნება კარი, — მიაჩნია ფესტივალის ხელმძღვანელს.

ფრანგი ხელოვანის დომინიკ ფიურის თქმით:

— სარკის მიღმა სამყარო უხილავია. შემოქმედების მსგავსად, ის ჩვენს აღქმას ცვლის და შეუცნობლისკენ მივყავართ. ალისა — ეს მე ვარ გარიყულაში — ჩემი ხელოვნებითა და ცხოვრების სტილით, სარკეებს მიღმა ვმოგზაურობ და წარსულიდან მომავლისკენ მივდივარ. გარიყულაში ჩამოსვლით, ჩემი წარსული გაცოცხლდა, როცა სამოცდაათიან წლებში, გარიყულას მსგავსი ექსპერიმენტული არტისტული კომუნა ჩამოვაყალიბე საფრანგეთში. წლევანდელ ფესტივალზე პირველად გაიხსნება ამერიკული პავილიონი დადაბიტი, რომლის კურატორია ლოს ანჯელესში მცხოვრები ქართველი არტისტი ნანა ჩიჩუა.

პავილიონში წარმოდგენილი მხატვრები ნანა ჩიჩუა, ტრევის უეიდ აივი, ლევერ რუხინი, ტრისტან დიუკი, ლორელაინ კონიგი, მარკუს ბეუტერი გაერთიანებულნი არიან ლოს ანჟელესის ე.წ. „იურული ტექნოლოგიების მუზეუმში", რომელიც აგრეთვე ცნობილია სახელწოდებით „სასარგებლო ინფორმაციის გავრცელების საზოგადოება".

წელს ფესტივალში მონაწილეობს მიიღებს 15-მდე ქართველი არტისტი, რომლებიც სხვადასხვა ფორმატის ნამუშევრებით წარდგებიან დამთვალიერებლის წინაშე.

— სასახლე, სადაც არტ-ვილა ჩამოყალიბდა, 1885 წელს, პოლონური წარმოშობის სამოქალაქო ინჟინერმა, ვასილი ბოლგარსკიმ დააპროექტა სოფელ გარიყულაში — თავისი ოჯახის საზაფხულო რეზიდენციისთვის. გასაბჭოების შემდგომ, სასახლის მფლობელები გააკულაკეს, ვასილი ბოლგარსკი დახვრიტეს. შენობა ჯერ ბავშვთა სახლს გადასცეს, შემდგომ კი — სამხატვრო აკადემიას, — ამბობს ყარამან ქუთათელაძე.

ბოლგარსკიაანთ სასახლეში მხატვარ ყარამან ქუთათელაძის ინიციატივით 2000 წელს შექმნილი არტისტთა კომუნა სიახლე იყო ქართული რეალობისთვის. მას შემდეგ, არტ-ვილა გარიყულა ქართველი და უცხოელი ხელოვანების შეხვედრის ადგილად გადაიქცა.

„ფესტ ინ ნოვა" 2009 წლიდან იმართება. ფესტივალის დირექტორი ყარამან ქუთათელაძე თავისი წინაპრების — გასული საუკუნის მოდერნისტების, კირილე და ილია ზდანევიჩების მიერ დაწყებულ მოძრაობას აგრძელებს, რომლის მიზანი თანამედროვე ქართული შემოქმედების პროგრესულ არტპროცესებთან დაკავშირებაა. ფესტივალის ოფიციალური პრეზენტაციის გარდა, მისმა ორგანიზატორებმა გახსნაზე ფრანგული პროექტის პრეზენტაციაც დაგეგმეს.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის — ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311 — ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# საქართველომ ევროპა უბრძოლველად დაასრულა

**ჩეხეთი – საქართველო 95:79**

(26:15; 28:20; 21:19; 20:25)

**ჩეხეთი:** ვესელი (27ქ,10მ), სატორანსკი (20ქ,6მ,7პ), იელინეკი (11ქ), პუმპრა (10ქ), ბარტონი (9ქ), ბენდა (8ქ), ბალვინი (6ქ), ჰუსკა (4ქ)

**საქართველი:** ცინცაძე (20ქ,6პ), მარკოიშვილი (20ქ), შერმადინი (18ქ,9მ), სანიკიძე (10ქ), ჰიკმენი (4ქ), ცქიტიშვილი (4ქ), ფაცაცია (3ქ)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის საწყისი სამი მატჩი ისე ითამაშა, რომ ყველა ექსპერტისა და გულშემატკივრის მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა. სამწუხაროდ ჩეხებთან უშანსოდ წავაგეთ.

ვერ გეტყვით დაღლილობამ იჩინა თავი, თუ ვერაფერ დავუპირისპირეთ ჩეხების უსწრაფეს თამაშს. პაველ ბუდინსკის შეგირდებს ყველაფერი გამოსდიოდათ და ისეთი სისწრაფით მოქმედებდნენ, რომ საქართველოს ნაკრებში დაცვაში სტატისტის როლში გამოიყურებოდა. არადა, კოკოშკოვის გუნდის ერთ-ერთი მთავარი კოზირი სწორედ დაცვაში თამაშია. ჩეხთა ორი ლიდერის – ვესელისა და სატორანსკის შეჩერება ქართველებმა ვერ მოახერხეს და მატჩი ბედი პირველივე მეოთხედში ჩანდა გადაწყვეტილი.

მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ სამ წუთში გავუწიეთ და შემდეგ მიახლოების შანსიც არ გვქონია. 2:16 წამი იყო თამაშის დაწყებიდან გასული, როდესაც შერმადინმა ანგარიში 6:5 გახადა და ამის შემდეგ ქართველები მუდამ მდევრის როლში იყვნენ. ქართველებმა ზუსტად სამწუთ-ნახევრის განმავლობაში ბურთი ველარ ჩააგდეს და ჩეხებს 6:13, ხოლო მეოტხედი საბოლოოდ 9 ქულით დავთმეთ.

მეორე მეოთხედის საწყის წუთებში ხსენებულმა სატორანსკიმ და ვესელიმ „დაგვბომბეს“ და 19 ქულით, 39:20 გაიდნენ წინ. ამის შემდეგაც ჩეხებს უკეთ გამოსდიოდათ თამაში და 2:17 წუთით ადრე ტაიმის დასრულებამდე ბენდას მიერ ჩაგდებული ორი ჯარიმის შედეგად, ჩეხები ორმაგი ანგარიშით გვიგებდნენ – 26:52. კოკოშკოვმა სიტუაციის შეცვლა განიზრახა და მოედანზე სწრაფი ხუთეული შემუშვა, რამაც მცირე შედეგი გამოიღო, ფაცაციამ და სანიკიძემ სამქულიანები ჩააგდეს და სხვაობა 19 ქულამდე დაიყვანეს – 35:54.

შესვენების შემდეგ ქართველების თამაში თითქოს ცოტა დალაგდა, თუმცა ისევ ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ. ჩეხებს თამაში აერიათ და ჩვენი ბიჭები მათ გაფუჭებულ შეტევებს, ასევე გაფუჭებული შეტევებით პასუხობდნენ. თამაში თანაბრად წარიმართა და 3:53 წამით ადრე მარკოიშვილმა სხვაობა 15 ქულამდე შეამცირა 47:62, თუმცა ამის შემდეგ ქართველებს ჩავარდნა ჰქონდათ და საბოლოოდ მეოთხედიც წავაგეთ და დასკვნით აქწუთეულს 21 ქულიანი ჩამორჩენით შევხვდით – 75:54.

ბოლო პერიოდში ჩეხები ოდნავ მოეშვნენ და მარკოიშვილისა და შერმადინის აქტიურობას სხვაობის 12 ქულამდე დაყვანა მოჰყვა, თუმცა ჩეხებს მხსნელად ვესელი მოევლინა, რომელმაც ქულებს თავი რომ დაანებო, იმდენად ლამაზი ბურთები ჩააგდო, რომ ფსიქოლოგიურად დაიჩაგრნენ კოკოშკოვის შეგირდები. საბოლოოდ ქართველები 16 ქულის სხვაობით, 79:95 დამარცხდნენ.

არ გვახსოვს საქართველოს ნაკრებმა ბოლოს ასეთი ცუდი დაცვა როდის ითამაშა და 95 ქულა ერთ მატჩში როდის გაუშვა.

რაც შეეხებათ გამორჩეულებს: ჩეხებიდან სატორანსკი და ვესელი გამოირჩნენ, პირველმა 20 ქულა, 6 მოხსნა და 7 პასი მიითვალა, ხოლო მეორემ 27 ქულითა და 10 მოხსნით, ორმაგი დუბლი შეასრულა.

ქართველებიდან 20-20 ქულით ცინცაძე და მარკოიშვილი გამოირჩნენ, ხოლო გიორგი შერმადინს 18 ქულა და 9 მოხსნა ჰქონდა.

და კიდევ: საქართველოს ნაკრებს არ გააჩნია სათადარიგოთა სკამი. ამის ნათელი დასტური ის არის, რომ ჩვენმა სათადარიგოებმა სულ 8 ქულა ჩააგდეს, მაშინ როდესაც ჩეხთა მარქაფას მონაგარი 30 ქულას შეადგენდა. ეს პირველი შემთხვევა არ არის ჩვენი ნაკრებისთვის – მიმდინარე ევროპირველობაზე ამის პრობლემა სულ იდგა და ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ აკლდს გუნდს ფაჩულია-შენგელიას დუეტი.

**მატჩის შემდეგ**

**ტომაშ სატორანსკი:**

– ეს იყო ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი. საქართველოს ნაკრები საკმაოდ კარგი გუნდია, რომელმაც გუშინ დიდი ბრძოლა გაუმართა სლოვენიას და ბოლო წამებამდე შეეძლო გამარჯვების მოპოვება. ამან, როგორც ჩანს, ქართველებს დიდი ძალები წაართვა და მათ დღეს ბევრი არაფერი გამოუვიდათ. ჩვენ გუშინ ესპანეთს ვეთამაშეთ, რომელსაც მხოლოდ 39 ქულა ჩავუგდეთ. დღევანდელ მატჩში ჩვენთვის ყველაფერი იოლად წარიმართა, რადგან ვითამაშეთ როგორც გუნდი. ჩავაგდეთ არაერთი იოლი ბურთი, ხშირად ვრჩებოდით თავისუფალი. ეს მოგება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რათა ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ.

**დუდა სანაძე:**

–სატურნირო თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო, რომელიც სამწუხაროდ, წავაგეთ. გუნდის ძირითადი ბირთვი გადაღლილი იყო და ველარ მოვახერხეთ მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა. მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, ჩვენ ამაყები ვართ, რომ საქართველოს სახელს ვიცავთ.

იგორ კოკოშკოვი:

– ჩვენი გუნდი გადაღლილი იყო როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად და ფსიქოლოგიურად. ვერ მოვახერხეთ ძალების აღდგენა და ჩეხეთთან, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა, დავმარცხდით. 60 ქულა მივიღეთ სამწამიანი ზონიდან, რაც ნამეტანია და მეტოქის ფარქვეშ დომინირებაზე მიუთითებს. არაა დასამალი, ორმ ჩვენ შეზღუდულები ვართ, არ გვაქვს შეცვლების თამამად გაკეთების საშუალება. მიუხედავად დამარცხებისა, მე მეამაყება საქართველოს ნაკრების წევრი რომ ვარ.

**პაველ ბუდინსკი:**

– ჩემმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, თითქმის ყველაფერი გამოგვივიდა. ფარქვეშ მართლაც დიდი უპირატესობა გვქონდა, თუმცა სწრაფი შეტევებიც გამოგვივიდა და ასეთი შედეგიანობაც ამის გამოა. ძალიან დაგვეხმარნენ სათადარიგოებიც და საკმაოდ დამაჯერებლადაც გავიმარჯვეთ. საქართველოს ნაკრები გადაღლილი იყო და სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია.




**საქართველო – ესპანეთი 59:83**

(17:17; 12:24; 10:21; 20:21)

**საქართველო:** მეტრეველი (4ქ), ფხაკაძე, სანაძე (5ქ), ბურჯანაძე (2ქ), ცინცაძე (6ქ,5პ), შერმადინი (10ქ), ჰიკმანი (7ქ), ფაცაცია (6ქ), სანიკიძე (8ქ), ლეჟავა (7ქ), ცქიტიშვილი (5ქ)

**ესპანეთი:** აგილარი (2ქ), ფერნანდესი (11ქ), როდრიგესი (15ქ), რეი (6ქ,8მ), კალდერონი (3ქ), რუბიო (16ქ), კლევერი (4ქ), სან ამეტრიო (3ქ), ლული (11ქ), მ.გაზოლი (4ქ,8მ), გაბრიელი (5ქ), მუმბრუ (3ქ)

მატჩს ორივე გუნდისთვის ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. მიტომაც იყო, რომ უმეტეს შემთხვევებში თავის გამოჩენას ისეთ კალათბურთელებს აძლევდნენ, რომლებსაც უფრო იშვიათად უწევთ თამაში. ეს უფრო ქართველებზე ითქმის თორემ პირენიელებს მეტნაკლებად დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს და რომელია პირველი თუ მეორე ხუთეული ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ამის მიუხედავად ჩვენებმა მატჩი კარგად დაიწყეს. ან რა ჰქონდათ დასაკარგი – ჯგუფიდან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გავდიოდით და არც ესპანეთთან მარცხისთვის უსაყვედურებდა ვინმე.

კოკოშკოვმა რამდენიმე მომენტში უცნაური ხუთეულიც კი შემოგვთავაზა მოედანზე. უნდა ითქვას, რომ სათადარიგოებს ასე სხვა მატჩებში რომ ეთამაშათ, ეგებ მეტისთვის მიგვეღწია.

ესპანელებს 18 წუთი ტოლ-სწორად ვეთამაშეთ. იყო მომენტები, ვიგებდით კიდეც, მაგრამ ტაიმის დასრულებამდე 2 წუთით ადრე რიკი რუბიომ, მარკ გაზოლმა, რუდი ფერნანდესმა, ხოსე კალდერონმა და კომპანიამ დამატებითი სიჩქარეები ჩართეს, ეს მონაკვეთი 14:0 მოგვიგეს და დიდ შესვენებაზე 12 ქულიანი ჰანდიკაპით გავიდნენ – 41:29.

მეორე ტაიმი უკვე ფორმალობად იქცა. ესპანელებმა გვანახვეს თუ რატომ არიან ევროპაში საუკეთესოები. თამაშობდნენ ლაღად, ყოველგვარი დატვირთვის გარეშე, ხანდახან ამის უფლებას ჩვენც გვაძლევდნენ. საბოლოოდ – 83:59 ევროპის ჩემპიონების სასარგებლოდ.

ესპანელები შემდეგ ეტაპზე არიან, საქართველო კი, შემდეგ ევროპის ჩემპიონატს დაელოდება.

# ქეცბაია: ეს ჩვენი შანსია და მის გამოყენებას აუცილებლად შევეცდებით

დღეს, საქართველოს ნაკრებს მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი ელის. 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაზე ფიქრი ჩვენთვის დიდი ხანია დასრულებულია, მაგრამ ფინელებთან დაპირისპირებამ უნდა გვაჩვენოს რა სამუშაო გასწია თემურ ქეცბაიამ ნაკრებში მისვლის შემდეგ და შეძლებს თუ არა მისი გაწვრთნილი გუნდი ჩვენთვის უკვე ასე „ნანატრ“ მესამე ადგილის დაკავებას.

მატჩი „დინამო არენაზე“ გაიმართება და 21 საათზე დაიწყება. გუშინ კი, ქეცბაიამ მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა.

**თემურ ქეცბაია:**

– ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველოდება წინ. კარგია, რომ თბილისში ვთამაშობთ. კარგი თამაშის მერე მოლოდინი დიდია, ამიტომ ყველას ჰგონია და მოლოდინი დიდია, რომ ხვალ საქართველოს ნაკრები მოედანზე გავა და თამაშს მოიგებს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი შანსია და მის გამოყენებას აუცილებლად შევეცდებით. ამ შეხვედრის მოგებით ჯგუფში მე-3 ადგილს დავიკავებთ. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ მატჩს მოვიგებთ. ფინეთის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია, კარგი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და ხვალ ძალიან რთული შეხვედრა იქნება. ჩვენ თამაშისთვის მზად ვართ, რადგან ამისთვის უკვე მთელი კვირაა ვემზადებით. ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე გავა, თავის მაქსიმუმს დადებს მინდორზე.

***– ძლიერი ნაკრებების წინააღმდეგ, საქართველოს ნაკრებს მოტივაცია არ აკლია და მთელი შემართებით თამაშობს, რაც საფრანგეთთანაც დამტკიცდა. ხომ არ არის საფრთხე, რომ ფინეთთან ეს დაიკარგოს?***

– არამარტო საფრანგეთთან, არამედ უმეტესობა თამაშებისა, რაც სამშობლოში ჩავატარეთ, ნაკრებმა კარგი თამაში და საკმაოდ კარგი შედეგიც აჩვენა. სამწუხაროდ, ბევრი თამაშის ჩატარება სტუმრად გვიწევს, რაც ძალიან რთულია ჩვენთვის. ადვილი არ არის ყველა თამაში მაღალ დონეზე ჩაატარო, ისეთი დონის ნაკრებთან შედარებით, როგორიც საფრანგეთია. ყველას ეგონა, მათ შორის ზოგიერთ ქართველსაც, რომ ფრანგები ჩამოვიდოდნენ და მარტივად დაგვამარცხებდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულადაც ავიღეთ 1 ქულა. ფინელებთან თამაში განსხვავებული იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქე იოლია. საკმაოდ ძლიერი და კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრებია. ფეხბურთის თამაში ნამდვილად შეუძლიათ. ამის ნათელი მაგალითი ესპანეთიდან წამოღებული დამსახურებული ქულაა. ვფიქრობ, რომ დაძაბული შეხვედრა გველოდება, რადგან ისინიც ემზადებოდნენ ამ თამაშისთვის. ბიჭებს კარგად ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა. კარგია, რომ ფსიქოლოგიური მზადყოფნის თემაზე მათთან არ მიწევს საუბარი, რადგან ბოლომდე და კარგად ესმით მათ ამ შეხვედრის მნიშვნელობა. ეს არის საუკეთესო შანსი იმისა, რომ კიდევ ერთხელ დავანახოთ გულშემატკივარს და ხალხს, რომ ჩვენ თამაში შეგვიძლია. შეიძლება ითქვას, გეგმის მიხედვით მიდის ყველაფერი. დანარჩენი კი ბიჭებზეა დამოკიდებული. მე ბოლომდე ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ბიჭები ხვალ მოედანზე გამოვლენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ გამარჯვება მათ დარჩეთ.

***– ტაქტიკურ ცვლილებებს მოახდენთ?***

– მოგებაზე უნდა ვითამაშოთ. იმას არ ვამბობ, რომ სულ შეტევაზე უნდა ვითამაშოთ. უნდა დავაკვირდეთ და თამაში ისე უნდა წავიყვანოთ, როგორც ჩვენთვის იქნება კარგი და შედეგიანი. შევუტევთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაცვის ხაზს არ დავიცავთ. შეტევაში თუ წავალთ, უკან ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს იმისთვის, რომ მეტოქეს ხიფათის შექმნის საშუალება მივცეთ.

***– ფინეთთან შარშან 1:1 ითამაშეთ. მაშინდელი მატჩის შემხედვარე, ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ ფინეთი ბელარუსთან 4 ქულას აიღებდა და ესპანეთში ფრეს მიაღწევდა. რა მხრივ განიცადეს პროგრესი?***

– ვერ ვიტყვი, რომ ფინეთი შარშან სუსტი იყო. ჩვენ კარგად ვითამაშეთ ფინეთში და უნდა მოგვეგო კიდეც, თუმცა მასპინძლებიც კარგად გამოიყურებოდნენ.

***– და მაინც, წლეულს გაცილებით კარგი შედეგი აქვთ, ვიდრე შარშან.***

– დიახ, ფინეთის ნაკრები ყველა თამაშს დამაჯერებლად და კარგად თამაშობს. ბოლო დროს მას არცერთი შეხვედრა არ ჩაუგდია. საფრანგეთთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდა და ვფიქრობ, რომ ის შეხვედრა წასაგები ნამდვილად არ იყო. აქამდე ამ ნაკრებს კარგად არ ვიცნობით, რადგან არასდროს არ გვქონია შეხება, მაგრამ ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ არის.

***– ლორია არ იქნება ფინეთთან. სხვა ცვლილებები იქნება შემადგენლობის მხრივ?***

– ბევრი ცვლილება არ იქნება, მაგრამ წინ დღე-ნახევარია დარჩენილი და ჯერ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით.

***– ტრავმა ხომ არ აქვს რომელიმე ფეხბურთელს?***

– მნიშვნელოვანია ისიც, რომ გუნდში ტრავმა არ გვაქვს. ერთადერთი იძულებითი ცვლილება, რომელიც იქნება გიორგი ლორია ვერ ითამაშებს. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება არ იქნება, რადგან ისეთი შეხვედრა, რაც საქართველომ საფრანგეთთან ჩაატარა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია რამე შევცვალოთ თუ ისეთი არაფერი მოხდა მანამდე. პატარ-პატარა პრობლემები გვაქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერია.

***– ნოემბერში ჩასატარებელი ამხანაგური მატჩის შესახებ არაა სიახლე?***

– ამხანაგური მატჩის გამართვა გვინდა ნოემბერში და ყველანაირად ვეცდებით ეს თამაში აუცილებლად თბილისში იყოს. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ამხანაგური შეხვედრები და გუნდები თბილისში უნდა ჩამოვიყვანოთ. ეს იქნება ნოემბერში, მარტში და მუნდიალის დაწყებამდე. ყველას მოინდომებს მსოფლიოს ჩემპიონატამდე ბევრი ამხანაგური შეხვედრა გამართოს და ჩვენც შევეცდებით მაქსიმალური შეხვედრები ჩავატაროთ და შეძლებისდაგვარად, ყველა სამშობლოში. ეს არა მარტო ფეხბურთისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც კარგი იქნება, რადგან უფრო მეტი პოპულარიზაცია იქნება და საქართველოს ბევრი გაიცნობს.

***– – მაინც, რატომ არ სურთ უცხოურ ნაკრებებს საქართველოში ჩამოსვლა და ამხანაგური მატჩის ჩატარება? საფრანგეთთან ფრე ინტერესს არ გაზრდიდა?***

– ქვეყნებს აქ ჩამოსვლის სურვილი არ აქვთ, რადგან საქართველოს არ იცნობენ. რომ იცოდნენ თბილისი რამდენად საინტერესო ქალაქია, ალბათ გაუჩნდებოდათ სურვილი ჩამოსვლისა. სამწუხაროდ, არ იციან და ამიტომაც არ სურთ. თანაც რატომ უნდა იფრინონ 4 საათი 2 დღისთვის, როცა იქვე ევროპის რომელიმე ქვეყანას დაუპირისპირდებიან და დიდი დროც არ დაეხარჯებათ. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გვიწევს გასვლა და ისე თამაში. ყაზახეთთანაც 6 საათის ფრენა მოგვიწია გადაჯდომებით, რაც არც თუ ისე იოლია. თანაც ხელოვნურსაფარიან მოედანზე მოგვიწია თამაში. ვფიქრობ, რომ საქართველოში უკვე დაავიწყდათ სანაკრებო ფეხბურთი, რადგან მთელი წელი სულ გასვლითი თამაშები იყო. გულშემატკივარში ისე დავარდა ფეხბურთის დონე, რომ ნომერ პირველ სახეობად უკვე აღარ ითვლება ფეხბურთი, როცა ევროპაში და დანარჩენ მსოფლიოში ის ნომერ პირველი სახეობაა. აქ, რომ დავფიქრდეთ ალბათ ხუთეულში თუ შევა, ალბათ ესეც გაუჭირდება.

***– როგორც წესი, მატჩის წინა დღეს ორივე ნაკრები იმ სტადიონზე ვარჯიშობს, სადაც მეორე დღეს თამაშია. თქვენ „დინამო არენაზე“ რატომ არ ვარჯიშობთ?***

– „ბასაზე“ ძალიან კარგი პირობებია იმისთვის, რომ მოვემზადოთ. ამიტომ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია „დინამო არენაზე“ ვივარჯიშოთ. აქ შესანიშნავი მინდორი გვაქვს და ტყუილად გზაში რატომ უნდა ვხარჯოთ დრო. „დინამოს“ მინდორს ძალიან კარგად ვიცნობთ და დისკომფორტი ამ მხრივ არ შეგვექმნება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ზიმბაბვე-მოზამბიკი | 1:1 |
| კენია-ნამიბია | 1:0 |
| კამერუნი-ლიბია | 1:0 |
| ბენინი-რუანდა | 2:0 |
| ტოგო-დრ.კონგო | 2:1 |
| სუდანი-ლესოტო | 2:3 |

| | |
|---|---|
| ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი | (21) |
| ისრაელი-აზერბაიჯანი | 7:2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დეპორტივო-მურსია | 0:1 |
| პონფერადინა-ხიხონი | 2:2 |
| რეალი ბ-მირანდესი | 0:1 |
| ხაენი-ხირონა | 3:1 |
| ტენერიფე-ბარსელონა ბ | 2:2 |
| ეიბარი-კორდობა | 1:0 |
| უელვა-ერკულესი | 2:0 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ლატინა-ვარეზე | 0:3 |
| მოდენა-ჩიტადელა | 2:0 |
| პესკარა-კროტონე | 2:2 |
| რეჯინა-იუვე სტაბია | 3:1 |
| სიენა-ბარი | 3:2 |
| ჩეზენა-ლანჩანო | 0:1 |
| ემპოლი-ტრაპანი | 1:1 |
| პადოვა-ლაერმო | 0:3 |
| აველინო-ტერნანა | 1:0 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრეი-უკ დუბლინი | 1:1 |
| დანდალკი-დროჰედა | 1:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 1:4 |
| ნიუ ენგლანდი-მონრეალი | 2:4 |
| ჩივასი-დსიუნაიტედი | 1:0 |
| სან ხოსე-ფილადელფია | 1:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| კორინთიანსი-ნაუტიკუ | 0:0 |
| კურიტიბა-სან პაულუ | 2:0 |
| კრუზეირო-ფლამენგო | 1:0 |
| ვასკუ-ატალეტიკო(პ) | 0:0 |
| კრისიუმა-ბოტაფოგო | 1:2 |

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქილმესი-სარანდი | 0:1 |
| როსარიო-სან ლორენცო | 0:2 |
| რივერ პლეიტი-ტიგრე | 3:0 |
| ოლიმპო-ბოკა | 3:0 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია ჩემპიონატი**

**ქალები**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ულიამსი!ს.-აზარენკა | 7:5;6:7;6:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# დაპირისპირება გორის თეატრში

ეკა ირემაშვილი

**გორის თეატრის მსახიობთა ნაწილი რეჟისორ სოსო ნემსაძეს უპირისპირდება და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ღია წერილით მიმართავს, რომელსაც „ახალი თაობა" უცვლელად გთავაზობთ:**

„გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები განმეორებით მოგმართავთ თხოვნით გულდასმით შეისწავლოთ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებები სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. კერძოდ, გორის თეატრი დანგრეული და პრაქტიკულად უმოქმედო შენობა ჩაიბარა რამაზ იოსელიანმა. უმოკლეს პერიოდში გარემონტდა, გაკეთდა გათბობა და მიუხედავად იმისა, რომ ცნობილმა ტერაქტმა დიდი დარბაზი ექსპლუატაციისთვის უვარგისი გახადა, ოპერატიულად მოეწყო მცირე სცენა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. რაც შეეხება რეპერტუარს, სპექტაკლების რაოდენობამ 21-ს მიაღწია, ამოქმედდა თოჯინების თეატრი, ეწყობოდა ბენეფისები, გასვლითი სპექტაკლები საქართველოს ქალაქებში, ჯარში, ბავშვთა სახლებში და ა.შ. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე პირველად მივიღეთ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ დასის შემადგენლობაში უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა ახალი

მსახიობების შემოყვანა გორელი იქნებოდა ის, თუ თბილისელი. მაგრამ 2007 წელს

ოპოზიციური შეხედულებების გამო, რამაზ იოსელიანი გათავისუფლდა დაკავებული

თანამდებობიდან და დაინიშნა სოსო ნემსაძე. ახალმა ხელმძღვანელმა გორის თეატრში სიახლედ ის შემოიტანა, რომ შტატების შემცირების მიზნით მოაწყო პირობითი კასტინგი, გაათავისუფლა 12 გორელი მსახიობი და თბილისიდან ჩამოიყვანა 9 მსახიობი, უმეტესობა თავისი სტუდენტი. ჩვენი, როგორც ადგილობრივების დისკრიმინაცია ამით არ დასრულებულა. განსხვავება აისახა სახელფასო ანაზღაურებაშიც. მაგალითად, სოსო ნემსაძის კადრები (რომელთაგან ზოგი

სტუდენტია, ზოგი კი სხვა თეატრის მსახიობი) ძირითადად 1 ან 2 სპექტაკლში არიან

დაკავებულები, მაგრამ ხელფასებზე ბატონი სოსო გულს არ წყვეტს. კერძოდ,

ადგილობრივი მსახიობი ნათია ტატულაშვილი დაკავებულია 9 სპექტაკლში და ხელფასი 370 ლარი აქვს, ბატონი სოსო სტუდენტს – 2 სპექტაკლში დაკავებულ ანა ჩოგოლაშვილს კი 450 ლარი. (თუ სახელფასო უწყისებით დაინტერესდებით, ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეგვიძლია).

ასევე ადგილობრივი მაყურებლების შეურაცხყოფად მიგვაჩნია, როცა სხვაგან

დადგმული სპექტაკლის კალკირებას ახდენს გორის სცენაზე („მსხვერპლი", „ტოპაზი").

რამაზ იოსელიანის დროს დისციპლინა მკაცრად კონტროლდებოდა და ეს მწარედ ახსოვთ სოსო ნემსაძის დღევანდელ მხარდამჭერებს, არ შეიძლებოდა დაგვიანება

რეპეტიციაზე (ახლა 12 საათზე დანიშნულ რეპეტიციაზე თვითონ აგვიანებს და 5 საათზე ჩამოდის), არ შეიძლებოდა ნასვამ მდგომარეობაში შენობაში შესვლა (ახლა სპექტაკლის დროს სცენიდან მაყურებელი ალკოჰოლის სუნს გრძნობს) და სხვა აღარ გვინდა ისედაც დამცირებულები, უფრო დავკნინდეთ და ჩვენი ბრალდებები ჭორაობას დავამსგავსოთ, მაგრამ ყველაზე საოცარი რაც არის ჩვენთვის, თეატრი ნაციონალების დროს ლამის საარჩევნო შტაბად გაადაქციეს. რამაზ იოსელიანს კი ხშირად შეემთხვა უსიამოვნება იმის გამო, რომ ხელისუფლებას თეატრის საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. ნაციონალებთან სიამტკბილობა თეატრს გარკვეული თანხა უჯდებოდა, რადგან

საარჩევნო კამპანიას თავისი პიარი და ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებოდა. იმედი

გვაქვს, ჩვენი სიტყვებს დამოუკიდებელი აუდიტური შემოწმება დაადასტურებს.

ბატონო გურამ, განმეორებით მოგმართავთ იმიტომ, რომ მოხდა მოვლენების ქრონოლოგიის ფალსიფიცირება, ხელმოწერების გაყალბება, ქალაქის საზოგადოების მხარდამჭერი მომართვის იგნორირება, რამაზ იოსელიანის მხარდამჭერების დაშანტაჟება. ასევე გაურკვევლია, რატომ დასჭირდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის

ხელმძღვანელობას რეკომენდაციის რამოდენიმეჯერ გამოგზავნა.

ჩვენ გაგვიჩნდა ეჭვი, რომ თქვენამდე რეალურმა მდგომარეობამ ვერ მოაღწია და

სამართლიანობის იმედით კიდევ ერთხელ გთხოვთ გაითვალისწინოთ გორელი

მსახიობების გულისტკივილი.

4 სექტემბერი 2013 წელი"

„ახალი თაობა" რეჟისორ სოსო ნემსაძეს დაუკავშირდა:

– ნამდვილად ვიცი, ვინც არიან ამ განცხადების ხელის მომწერები, მაგრამ მათი დაკონკრეტება არ მინდა.

***– რატომ გახდა საჭირო მსგავსი წერილის დაწერა?***

– აბა რა გითხრათ?! როგორც ჩანს ადამიანებს ცუდი მახსოვრობა აქვთ. გარდა ამისა, ძალიან ცუდი მეთოდებით ცდილობენ სიტუაციის არევას. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ რაღაც ძალებით ცდილობენ, ეს ადამიანები მასიურად ჩაითრიონ რაღაც პროცესებში, რომლიდანაც ელოდებიან ხეირს. ამიტომ ხდება ამ ადამიანების აბუნტება. ზოგს ხელფასის მომატებას პირდებიან, ზოგს – თანამდებობებს, ზოგს – სხვადასხვა წამახალისებელ სიტუაციებს.

***– თქვენ რას ჰპირდებით ამ ადამიანებს?***

– ვერავის ვერაფერს დავპირდები გარდა შემოქმედებისა და აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისა. აქედან გამომდინარე, მოვექცით ამ ქარცეცხლში. ნაკლები ჩართულობა იქნებოდა ამ ადამიანებისა, ჩემი აზრით, დროზე რომ მიღებულიყო გადაწყვეტილება.

***– თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების დამტკიცებას გულისხმობთ?***

– დიახ. ზოგჯერ არასწორ ინფორმაციას აწვდიან ამ ადამიანებს, ეუბნებიან, სოსო კი არ ინიშნება, არამედ სხვა ადამიანი ინიშნებაო. ხომ იცით, მსახიობი დამოკიდებულია ხელმძღვანელზე და ამიტომ მარტივად ექცევა ამ გავლენის ქვეშ.

***– თქვენ თუ იცით სავარაუდო თარიღი, როცა დაგამტკიცებთ კულტურის მინისტრი ამ თანამდებობაზე?***



– არა, არ ვიცი, სამწუხაროდ. ერთადერთი ის ვიცი, რომ კონკურსის შედეგად 5 ხმა მივიღე, ანუ სარეკომენდაციო საბჭომ 5 ხმა მომცა, საბჭოში კი 7 წევრია. ასე რომ არ ყოფილიყო, ბრძოლას აღარ გავაგრძელებდი, დავემორჩილებოდი საბჭოს გადაწყვეტილებას, დავკმაყოფილდებოდი, დავნებდებოდი ბედს, არავის ბრძოლას არ დავუწყებდი. ჩემთვის გაუგებარია რატომ მებრძვიან.

***– თქვენს გარდა თუ იცით ვინ არის წარდგენილი გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე?***

– ამ შემთხვევაში რამაზ იოსელიანი. მხოლოდ მე და რამაზ იოსელიანი ვართ, რომელიც აქტიურობს.

***– გამოდის, თქვენი დუელია?***

– დიახ, ასე გამოდის. ამ წერილში ძალიან უხეში შეცდომებია დაშვებული. ეს არის მხოლოდ მათი მოსაზრებები და არა ფაქტებით დასაბუთებული ბრალდებები. როცა ისინი ამბობენ პირობითი კასტინგი ჩატარდაო, ეს არ არის სიმართლე. გაუგებარია, რას ნიშნავს პირობითი კასტინგი. კასტინგი იმიტომ ჩატარდა, რომ შემოქმედებითი სიტუაცია უფრო ჯანსაღი ყოფილიყო თეატრში და ის დეფიციტი, რომ ახალგაზრდა მსახიობები არ იყო დასში, შევსებულიყო. კასტინგი მიზანდასახულად ჩატარდა და არა პირობითად.

***– ბევრი გორელი მსახიობი გაუშვით?***

– ამ კასტინგზე რამდენიმე თბილისელი მსახიობიც გავუშვით, იქ გათვლა მხოლოდ შემოქმედებით ორიენტაციაზე იყო. ჩემთვის გაუგებარია მცნება გორელი მსახიობი. გორელი რომ ხარ არ ნიშნავს მსახიობს. მსახიობია ის, ვისაც აქვს პროფესიული განათლება. სადაური ხარ რა მნიშვნელობა აქვს? ადამიანები აბარებენ თეატრალურ უნივერსიტეტში, სწავლობენ, ეუფლებიან პროფესიას და მერე ბრუნდებიან თეატრში. თუ ჩვენ გვინდა გვქონდეს სამოყვარულო თეატრი, ეს სხვა თემაა, მაგრამ მე ჩავიბარე გორის თეატრი როგორც პროფესიული დასი, ანუ აქ უნდა იყვნენ პროფესიონალები. ამას ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ იქ იყო სიტუაცია, როცა დედას შვილი ჰყავდა მოყვანილი დასში, ბიძაშვილს მამიდაშვილი, როგორც ვიცით ხოლმე ქართველებმა. ის მამიდაშვილი არ იყო მსახიობი, მაგრამ იღებდა მსახიობის ხელფასს. ამ დროს მსახიობი, ვისაც აქვს პროფესიული განათლება, აქვს სერთიფიკატი, დადიოდა ქუჩაში უსაქმოდ. რეჟისორი ადამიანი ვარ და შესაბამისად მსახიობებზე მონადირე ვარ, თეატრისთვის საჭირო კარგ მსახიობს თეატრიდან ვერ გავუშვებ, იმიტომ რომ მაშინ თეატრის და საკუთარი თავის მტერი ვიქნები. დამოკიდებული ვარ მსახიობზე, თუ მან ჩემი ამოცანები ვერ შეასრულა, სპექტაკლი აზრს კარგავს, ეს ყველამ კარგად იცის – რეჟისორს სჭირდება მსახიობი, მე მსახიობები მყავს, ვინც შეკედლებული იყო თეატრს, მხოლოდ ამ ადამიანებს ვთხოვე, რომ დაეტოვებინათ დაკავებული თანამდებობები. ერთმა მსახიობმა თქვა, დილით სპექტაკლი ვითამაშე და საღამოს გამიშვაო. ეს ასე არ მომხდარა, ის მსახიობი კასტინგის შედეგად გავუშვი. სპექტაკლი რომ ითამაშა, ვერ იმღერა, ვერ იცეკვა, ტექსტი დაავიწყდა, მაყურებელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ბავშვები ტონალობას დარბაზიდან უსწორებდნენ და ეს იყო რეალური მიზეზი, რის გამოც ის თეატრიდან წავიდა. სიმართლე თუ გინდათ, არ უნდათ მათ თბილისელი მსახიობები, იმიტომ რომ კონკურენციას უწევენ მათ და ეს არ აწყობთ.

***– არც ის არის მართალი, რომ თბილისელ მსახიობებს უფრო მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე გორელებს?***

– საიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეს თბილისელ მსახიობს უფრო მეტი ხელფასი ვიდრე გორელ მსახიობს?

***– იქვე აღნიშნულია, რომ საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაციასაც წარმოვადგენთო.***

– მერე რატომ არ წარმოადგინეს? იმ წერილში საუბარია ნათია ტატულაშვილზე. ნათია ტატულაშვილი 2 წელი დადიოდა ქალაქ გორში, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, რომ ის მიეღო თეატრში, ამ დროს მან დაამთავრა თეატრალური უნივერსიტეტი და იყო ქუჩაში. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, ამ პირობით კასტინგს რომ უწოდებენ ისინი, ჩატარდა კასტინგი, მისი ადგილი ნამდვილად არის თეატრში და მივიღე კიდეც. ახლა რატომ არის განაწყენებული არ ვიცი, უფრო სწორად მიზეზები ვიცი, მაგრამ ახლა არ მინდა ასე საჯაროდ საუბარი. რატომ არ ამბობენ, რომ ბაჩო ქაჯაიას, რომელიც ცნობილი მსახიობია და არის გორის თეატრის მსახიობი, ნათია ტატულაშვილზე დაბალი ხელფასი აქვს და იღებს 310 ლარს?! ამას რატომ არ ამბობენ? გარდა ამისა არიან იქ გორელი მსახიობები, რომლებსაც საკმაოდ მაღალი ხელფასები აქვს და არც ერთ თბილისელ მსახიობს ასეთი მაღალი ანაზღაურება არ აქვს. ეს არის ყველაფერი ავანტიურა, ისინი ცდილობენ ყველა მეთოდით და ყველა საშუალებით იქონიონ გავლენა მინისტრის გადაწყვეტილებაზე. გასაგებია, რომ ომის დროს ბრძოლის ყველა მეთოდი დასაშვებია, მაგრამ ასეთი საქციელი, ნამდვილად დაუშვებელია. ეს არის სუფთა წყლის ავანტიურა.

***– რეპეტიციებზე აგვიანებსო, აღნიშნულია წერილში. არც ეს არის სიმართლე?***

– ესეც სიცრუეა. ალბათ დააკვირდით რამხელა შუალედს ამბობენ. 12 საათზე დანიშნულ რეპეტიციაზე მოდის 5 საათზეო. როგორ წარმოგიდგენიათ, ადამიანი რომელიც 12 საათიდან 5 საათამდე მელოდება, ის ნორმალურია? თუ ასეთი სიტუაცია იყო, აქამდე რატომ იყვნენ ჩუმად? ასეთი წერილი ნებისმიერმა ადამიანმა რომ განიხილოს ეტაპობრივად, ყველა ბრალდება რომ გააანალიზოს, მივა იმ დასკვნამდე, რომ ეს არის სიცრუე და მეტი არაფერი. არ არსებობს, რომ 12-დან 5 საათამდე რეპეტიციაზე დამეგვიანა. ვაღიარებ, რომ რამდენჯერმე მომიწია დაგვიანება, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ეს ჩემთვის გაუგებარია და საერთოდ რატომ იკადრეს ასეთი რამ, არ ვიცი. მართლა უნდათ თვალები აუხვიონ მინისტრს და ის დაიჯერებს, რომ ნემსაძე 12 საათზე იწყებს რეპეტიციას და 5-ზე ჩადის გორში? 5 საათზე თბილისში მაქვს რეპეტიცია სტუდენტებთან. ვახერხებ, რომ იქაც მქონდეს რეპეტიციები და აქაც. ამაზე მეტყველებს ის სპექტაკლები, რომლებიც თბილისშიც დავდგი და გორშიც. ეს ყველაფერი კი შრომის გარეშე არ კეთდება.

***– წერილში არის ასეთი ფრაზა „სცენიდან მაყურებელი ალკოჰოლის სუნს გრძნობს". ეს რას ნიშნავს, მსახიობები არიან ლოთები, თქვენ სვამთ თუ მაყურებელი ვერ გიყურებთ ფხიზელი თვალით და მთვრალი მოდის თეატრში?***

– რატომ ჩაიგდეს ამ ადამიანებმა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში თავი, არ მესმის. განა ასეთი სიბინძურის გარეთ გატანა თეატრს კარგ სამსახურს გაუწევს? პირიქით, თუკი ასეთი ფაქტები მართლა არის, მათ გამოსწორებას კულუარული სიტუაციებით უნდა ვცდილობდეთ და არა ასე სახალხო ყვირილით. აფიშირება იმისა, რომ ვიღაც ნასვამი და მთვრალი თამაშობს სპექტაკლს, არ არის კარგი საქციელი. ჩვენ ვიცით, რომ თეატრი შემოქმედებითი სამყაროა და ზოგჯერ მსახიობი, მხატვარი, რეჟისორი ბოჰემურ ცხოვრებას მიეცემა ხოლმე. მსახიობმა თუ ერთი ჭიქა ლუდი დალია, ეს საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელი ინფორმაცია ნამდვილად არ არის. მინდა ერთი საკმაოდ გონებამახვილური სიტუაცია გითხრათ: ერთ-ერთ სამხატვრო ხელმძღვანელს დასის შეკრებაზე გამოუცხადებია, რომ თეატრიდან უნდა გავყარო ლოთები და მრუშებიო. ერთ-ერთ ენამოსწრებულ მსახიობს უთქვამს, მაშინ ბატონო თქვენ და ბუღალტერი დარჩებით მარტო თეატრშიო. გორის თეატრში მსახიობი მთვრალი არ მინახავს სცენაზე. თუ ვინმე დადგა, ამაზე თავისი ადეკვატური შეფასება მქონდა, ისეთი, როგორიც ეკადრებოდა.

***– მსგავსი ფაქტები ხშირად შეგიმჩნევიათ?***

– ხშირად შემიმჩნევია მსგავსი ფაქტი საქართველოს ყველა თეატრში და გორის თეატრი ნამდვილად არ არის გამონაკლისი. თუ სიმართლე გინდათ, გორში ყველაზე ნაკლებად შემიმჩნევია ეს. ადრე არ იყო ასე და ახლა ნემსაძის დროს დაიწყო ეს ყველაფერი თეატრში?

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი; 2. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოშვება; 4. ხელოვნური თმა; 5. კუთხე საქართველოში; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 13. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 17. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 19. ისტორიული ციხესიმაგრე სამცხე-ჯავახეთში; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში.

თარაზულად: 6. ალლო ანუ ...; 7. ქართული რადიო; 8. Iსრაელის დაზვერვა; 10. თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 11. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თევზის საჭერი მოწყობილობა; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი, განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. მწერის განვითარების ერთ-ერთი სტადია; 23. ისრაელის სახელმწიფო ენა; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. მაქმანი; 6. უკრაინა; 8. რენო; 9. კურკა; 10. იალაღი; 11. კაბა; 13. პარაშუტი; 14. იორი; 16. კასიო; 18. კენტი; 20. იკაროსი; 21. ტრამვაი.

**შვეულად:** 1. ამიმია; 2. ენგური; 3. ტაიფუნი; 4. ნარზანი; 5. მისტიკა; 7. სენიორა; 11. კარტი; 12. ტირიფი; 13. პიკნიკი; 14. იაპონია; 15. პირატი; 17. აქლემი; 19. მერი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სიო; 2. არიეტა; 3. ნო; 4. თათარა; 5. სათნო; 6. აიათოლა; 7. ლა; 8. ლესია; 9. არვე; 10. რაუნდი; 11. მანანა; 12. აპრიორი; 13. პითეკანთროპი; 14. რეა; 15. იგოეთი; 16. ცან; 17. ეგზეკუცია; 18. რკო; 19. ომეგა; 20. არმანიაკი; 21. რა; 22. ანძა; 23. ისარნა; 24. რინგი; 25. ბარათი; 26. ბორნეო; 27. რამაზოტი; 28. აიეტი; 29. ეპიგრამა; 30. ია; 31. არეტა; 32. ბატალია.

**სურათებზე:** ოლივია უაილდი; ხოსე ალბა.

# გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას იპოთეკარებთან დაკავშირებით არსებული პრობლემის მოგვარებისკენ მოუწოდებს



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას იპოთეკარებთან დაკავშირებით არსებული პრობლემის მოგვარებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ თარგამაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ქობულეთში მცხოვრებმა 65 წლის მამაკაცმა, რომელსაც იპოთეკური დავალიანება ჰქონდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რომ არა ეს ტრაგიკული შემთხვევა, ჩვენ ისედაც ვიცით რა მძიმე მდგომარეობაშია ათეულობით ოჯახი ქობულეთში. ადამიანები, რომლებიც 2008 წლის ომის შედეგად გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნენ, ვერ ასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ბანკების და კერძო იპოთეკარების მიმართ აქვთ სიკვდილ-სიცოცხლის საფრთხის წინაშე დგანან. მინდა, სამძიმარი ვუთხრა ამ კონკრეტულ ოჯახს. მივმართავ, საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს, ასევე აჭარის მთავრობას, რომელსაც ხალისი აქვს ქობულეთში ნარდის ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა და საჯარო კომენტარები აკეთოს ამასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ვერ მოიცალეს იპოთეკით დაზარალებული ადამიანებისთვის აეხსნათ როდის და როგორ აპირებენ მათი პრობლემების მოგვარებას, რაც უფრო დიდხანს გავწელავთ პრობლემის მოგვარების პროცესს, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებთ ამ ოჯახებს და კიდევ უფრო ძვირი დაგვიჯდება პრობლემის მოგვარება. სახელმწიფოს აქვს ყველა ბერკეტი და საშუალება პრობლემის მოსაგვარებლად, საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება და გულისხმიერება“, — განაცხადა თარგამაძემ.

მისივე თქმით, ეს ტრაგიკული ფაქტი შეიძლება, მთელი სახელმწიფო სისტემისთვის შემაჯანჯღარებელი გახდეს, რომელიც ასე გულგრილად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება საკუთარი ხალხის პრობლემებს.

**პირველი**

# სასამართლომ ე.წ. „ქურდული სამყაროს“ 13-ვე წევრს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

სასამართლომ ე.წ.“ქურდული სამყაროს“ 13-ვე წევრს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. როგორც „პირველს“ პროკურატურაში განუცხადეს, მათი სასამართლო პროცესი მარნეულში გაიმართა და მარნეულის რაიონულმა სასამართლომ 13-ვე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მათ ბრალი ა ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ფაქტზე სსსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით ედებათ.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულის და დმანისის რაიონებში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად ერთდროულად ე.წ. „ქურდული სამყაროს“ 13 წევრი დააკავეს, რომლებიც ორ დაჯგუფებას განეკუთვნებიან.

შსს-ს ცნობით, დაკავებული არიან: ძმები — 1969 წელს დაბადებული რასიმ ო. და 1973 წელს დაბადებული ნამიკ ო., 1990 წელს დაბადებული რაშიდ გ., 1985 წელს დაბადებული გიორგი კ., 1970 წელს დაბადებული რასიმ მ., 1990 წელს დაბადებული ნამირ ი., 1986 წელს დაბადებული ასიფ ხ., 1990 წელს დაბადებული სადრადინ დ., 1962 წელს დაბადებული ჯაბირ ა., 1979 წელს დაბადებული თემურ გ., 1981 წელს დაბადებული აიატ გ., 1964 წელს დაბადებული კარახან გ. და 1978 წელს დაბადებული მეხრალი შ.

დაკავებულებიდან 9 პირი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. 13-ვე პირის დაკავება მათ საცხოვრებელ სახლებში განხორციელდა. სამართალდამცველებმა ჩხრეკისას მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, სანადირო თოფი, ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ და ფსიქოტროპული აბები ამოიღეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კერძოდ, 8-კაციანი დაჯგუფება კონკრეტულ დავალებებს იღებდა და ასრულებდა რუსეთში მცხოვრები ერთ-ერთი ე.წ. „კანონიერი ქურდისგან“, ხოლო მეორე 5-კაციან დაჯგუფებას მართავდა ე.წ. „კანონიერი ქურდი“ ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გულუ“, რომელიც სასჯელს აზერბაიჯანის საპყრობილეში იხდის.

**პირველი**



# დავით ბაქრაძე დღეს ოზურგეთში საარჩევნო შტაბს გახსნის

პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე დღეს გურიას ეწვევა და ოზურგეთში საარჩევნო შტაბს გახსნის. როგორც „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის წევრმა ოთარ რევიშვილმა განუცხადა, ბაქრაძე შეხვედრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძიმითსა და დვაბზუში გამართავს, მოგვიანებით კი ოზურგეთის საარჩევნო შტაბს გახსნის.

შტაბის პრეზენტაციის შემდეგ კი ადგილობრივი ჟურნალისტებს შეხვდება და მათ შეკითხვებს უპასუხებს.

**პირველი**

# დაპირისპირება გორის თეატრში

დასაწყისი მე-10 გვერდზე

სირცხვილი მაგათ, ამას რომ ამბობენ! თეატრში დასაწყისიდანვე არსებობს მსგავსი მომენტები, რაც მე ვარ თეატრში, სულ უფრო იშვიათად ხდება მსგავსი შემთხვევები და ვერც ვიხსენებ, რომ ალკოჰოლის სუნმა შეაწუხა მსახიობი. ამ ბოლო პერიოდში როგორც დადის გორის თეატრში მსახიობი, ნეტავ მომავალში სადაც ვიქნები, იმ თეატრში იაროს ასეთი ინტენსივობით. ასეთი ცუდი მდგომარეობა რომ იყოს სცენაზე, კაციშვილი არ მოვა, ამიტომ მათ ვურჩევ ნუ უწევენ ცუდ სამსახურს გორის თეატრს.

— ***წერილში ნათქვამია, რომ ადგილი აქვს დაშინებას.***

— მე ვაშინებ ვინმეს? ჩემი შეშინებული არავის უნახავს და... ჩემი ალბათ ეშინიათ იმ კუთხით, რომ ვითხოვ პროფესიულ ელემენტებს, მაქსიმალურ მუშაობას, როცა სცენაზე დგანან, მათ ურჩევნიათ, უფრო მსუბუქად იყვნენ, სხვათაშორის გაიარონ რეპეტიციები, მერე დალიონ, იქეიფონ, საღამოს სპექტაკლი ითამაშონ. მომსწრე ვიყავი ასეთი ფაქტის — როცა მაყურებელმა აქტიურად დაიწყო სიარული თეატრში, ერთ-ერთი მსახიობი, რომელიც ახლა ხმამაღლა ყვირის, მივიდა სალაროსთან და იკითხა, ყველა ბილეთი გაყიდულიაო და კიო, უთხრა გახარებულმა მოლარემ, აუჰ, რა ითამაშებს ეხლა სპექტაკლსო. ეს ჩემი თვალით მაქვს ნანახი და ჩემი ყურით მაქვს გაგონილი. მას ოდნავაც არ გახარებია, რომ ყველა ბილეთი გაიყიდა. მინდა გითხრათ, იმ ადამიანებს, ვინც ხშირად ასეთ ავანტიურაში ეფლობა, მფარველობენ კიდევაც და ეშინიათ, რომ იგივე რისხვა მათ არ დაატყდეთ, თავზე ხელის გადასმა მათთვის ნამდვილად ზედმეტია, რადგან არაფერს ქმნიან, მხოლოდ საზოგადოება შეყავთ შეცდომაში და გაკეთებული რაც არის, ცდილობენ ისიც გააფუჭონ.

— ***ამ წერილის ავტორი რამდენიმეა თუ დასის უმეტესობა?***

— ეს არის დასის მცირე ნაწილი, რომელსაც მეტის გაკეთების საშუალება არ აქვს. ის ნაკლებად არის შემოქმედებაზე ორიენტირებული და ახლა ყველაზე კარგად გრძნობს თავს და რაც შეიძლება დიდხანს უნდა ეს პროცესი გაგრძელდეს, რომ არ დაიწყოს რეპეტიციები, არ მოსთხოვონ პროფესიული ეთიკის დაცვა, სამუშაო განწყობა და მდგომარეობა, არ მოსთხოვონ როლზე მუშაობის პარტიტურა, ის, რაც მათ არ შეუძლიათ, ვინც ამ ავანტიურაში არიან ჩაბმული. ნიჭიერები, ვინც ორიენტირებული არიან სამუშაოზე, მათთვის დამღლელია და ეს ყველაფერი საშინელი პროცესია. ისინი ელოდებიან მინისტრის გადაწყვეტილებას, რომ ბოლოს და ბოლოს დაინიშნოს სამხატვრო ხელმძღვანელი და თეატრმა შეძლოს შემოქმედებითი ცხოვრების გაგრძელება.

— ***სეზონი ჯერ არ გაგიხსნიათ?***

— არა სეზონი არ გაგვიხსნია, თან რაღა დარჩა, ალბათ რამდენიმე დღეში მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას და მინისტრიც ჩამოყალიბდება.

— ***მჯერა, რომ თქვენ რამაზ იოსელიანის საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ.***

— აბსოლუტურად არაფერი. ჩემთვის გაუგებარია რამაზი რატომ იკლავს ასე თავს, უფრო სწორად ყველაფერი გასაგებია, მაგრამ როცა საბჭოს გადაწყვეტილებაა, უნდა ვაღიაროთ დამარცხება. თუ დავმარცხდებით, სულ ვამბობთ, რომ იქ იყო ჩაწყობა და თუ მოვიგებთ, მაშინ საბჭო იყო კომპეტენტური. უჭირთ ადამიანებს იმის აღიარება, რომ დამარცხდნენ. ამ წერილში ყველაფერია გაკეთებული იმისთვის, რომ ადამიანებს მიაწოდონ მცდარი ინფორმაცია და ამბობენ, რომ რამაზ იოსელიანის შემდეგ თეატრში მოვიდა სოსო ნემსაძე, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. რამაზ იოსელიანმა თეატრი დატოვა 2007 წელს, მის შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო მამუკა ტყემალაძე, მმართველი იყო ილია თავაძე, მერე იყო მმართველი გია მაჭარაშვილი, მერე ნოდარ მდინარიძე, გავიდა სამი სეზონი და მერე მოვედი მე. პასუხისმგებლობა რამაზ იოსელიანთან საერთოდ აღარ მქონდა, იმიტომ რომ პროცესები თეატრში გრძელდებოდა. ეს არ არის კერძო თეატრი, ამიტომ მე რომ წამოვალ იმ თეატრიდან, ჩემი მეგობარი ან ახლობელი იმ თეატრში აღარ უნდა მივიდეს და აღარ უნდა გააგრძელოს მუშაობა? რატომ იკანონებენ ამ თეატრებს და რატომ ფიქრობენ, რომ ეს თეატრი მათია, ჩემთვის ეს არის გაუგებარი.

მინდა ამ ადამიანებს ვუთხრა, მათ სინდისზე იყოს ის ყველაფერი, რასაც წერენ და კითხულობენ. მჯერა, რომ შერცხვებათ შემდეგ თავისი საქციელის იმ დონემდე მიიყვანეს საქმე. თუმცა ისე ურცხვად იქცევიან, სირცხვილის გრძნობა გამქრალია მათში და ჯიქურ მოქმედებენ. ერთ-ერთი თანამშრომელი დავიბარე და ვუთხარი, თქვენი ბრძოლის მეთოდები არც კანონის ფარგლებში ჯდება და არც ადამიანურობის ფარგლებში-მეთქი. ატარებენ შეხვედრებს მიმალულ ადგილებში და იწყება გარჩევა. მირჩევნია მოვიდნენ და პირში მითხრან, რა არ მოსწონთ და რატომ მებრძვიან. ამ ადამიანმა მითხრა, ის ჩემი მეგობარია და იმიტომ ვცდილობ, მოვიდესო. მაშინ ვუპასუხე, შენც ხომ გიკავია თანამდებობა, რომ გაგიშვა და ჩემი მეგობარი მოვიყვანო, სწორი იქნება-მეთქი და კი, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნებაო. მართლა ასე რომ გავაკეთო, ერთი ამბავი ატყდება, სოსომ თავისი მეგობარი მოიყვანაო.

— ***როგორ გგონიათ, იქონიებს ეს წერილი მინისტრზე გავლენას?***

— ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ თუკი ჩავუკვირდებით შინაარსს და წერილის ლოგიკას, ყველაფერი კარგად ჩანს. ჩვენ გავუგზავნეთ მინისტრს საპასუხო წერილი, სადაც ყველაფერი ფაქტებით არის დადასტურებული. ალბათ საქართველოში დადგა დრო, რომ ქართულ თეატრში დამთავრდეს ყბადაღებული არაშემოქმედებითი ცხოვრება და ინტრიგები ერთმანეთის მიმართ. უპირატესობა უნდა მიენიჭოს შემოქმედებით აქტიურობას და ჭეშმარიტი საქმის კეთებას. მშრომელი ადამიანი თეატრში სამწუხაროდ ცოტაა, ყბედი კი უფრო ბევრია, ამის დაბალანსება უნდა მოხდეს აბსოლუტურად ყველა თეატრში. თუ უფრო კატეგორიულები არ ვიქნებით, ჩვენი თეატრი პროფესიულ ძალას დაკარგავს, ეს იქნება თავშესაფარი და წყალში გადაყრილი თანხები სახელმწიფოს მიერ თეატრალურ სამყაროში.

# სამგლოვიარო განცხადებები



## ციცინო ნოჩოს ასულ შონიას გახსენება

ციცინო! მიძინებიდან ორმოციც დამთავრდა დღეს. ამიერიდან სული შენი ზეციურ სასუფეველშია.

გვტკივა გული. ვწუხვართ, ცრემლები არ შეგვშრობია. ფიზიკურად ვერ გაგაცილეთ. გელოდებოდით, მაგრამ...

ღირსეულად იშრომე, ილვაწე. ოჯახს ბოლომდე კოლხ დედად ედექი. შვილებმა, სიძეებმა, მეუღლემ პატივი გცეს.

და-ძმებმა, ნააელებმა ენგურს მარცხნივ ეკლესიებში აღვასრულეთ ლოცვები, წესები. ბორჯიც მოვა. უფლის წყალობით ენგურს გავალთ... მუხლმოდრეკით ჯგერდეში საფლავთან მოვალთ...

„... უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაითა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთათა და ყოველთა წმიდათათა...“ შეუნდე შეცოდებანი, შეიწყალენ ციცინო შონია.

**და-ძმები: ვენერა ქარაია, ომარ, ნოდარ, დავით, არჩილ, თემურ, ირმა, ელისო, დალი, ხათუნა, ლადო**



მეუღლე ნატა უშხვანი, შვილები, შვილიშვილები და სიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## გიორგი (ჟივლერი) გვარმიანი

პანაშვიდი: 10, 11 სექტემბერს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 12 სექტემბერს, 15 საათზე.

მისამართი: 300 არაგველი, აწყურის ქ. $3^3$, ბინა $1^3$

თენგიზ ჩიკვაშვილი, ზემფირა ალავიძე, ნუნუ ტატიშვილი, მარიამ გელაშვილი, მაია ოქროპირიძე, ნინო მხეიძე, ნატო ლომსაძე, დარეჯან გულბანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნინო ტვილდიანს დედის

## ნათელა ქარდავა-ტვილდიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ნათესავებს.

ნანული და გუგა ჭოხონელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეგობარი, უკეთილშობილესი ქალბატონი

## ნანული გოცაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.
დაკრძალვა: 10 სექტემბერს, 15 საათზე.
მისამართი: საბურთალო, VII კვარტალი, XVII კორპუსი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 10 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **09.00** ან/ფ "სკუბი-დუ! ბანაკის საშინელებანი" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "თუ დედამთალი ურჩხულია" (ჯ.ლოპესი) **14.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00** დ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **20.55 ფეხბურთი**. მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი. **საქართველო–ფინეთი**. (პ/რ) **23.30** მხ/ფ "**გრძნობით შეპყრობილი**" (გ.პელტროუ)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" **5** ნაწ. **14.00, 00.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00** დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" **6** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30** ს დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.10, 09.10** ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კონცერტი: "სუხიშვილები" **1** ნაწილი **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **2** სერ. **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** იურმალა (გ/ჩ) **00.45** მხ/ფ "**ჰოლივუდური ფინალი**" (თ. ლეონი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ."**დასასრული**" **23.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" **10.10** დოკ/ფ "შუშანიკის წამება" **10.30** დოკ/ფ "უბისა" **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 23.40** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** კონცერტი - "იყო ხილვის სიხარული" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** ლიტერატურული თეატრი "წმინდა შუშანიკი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "თქვენი" წმინდა დიდმოწამე შუშანიკი დედოფალი" **23.45** ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე შუშანიკი" (მამა ზურაბ მჭედლიშვილი) **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" II ნაწ. **02.00** ირაო

**მაესტრო** **7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.45** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.15, 16.00 სერ. "ღრუბლებს მიღმა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 15.30, 2.00, 6.00** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 5.30** "ყოველდღიური ამბები" **19.00 სერ. "1001 ღამე"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 4.00** "კინო მაესტროზე"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6625 |
| ევრო | — 2,1789 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,5892 |
| 100 რუსული რუბლი | — 4,9725 |

## ამინდის პროგნოზი 10 სექტემბრისთვის





# მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


## სოკმა ჭიდაობა დაინდო

ჭიდაობა ოლიმპიურ თამაშებში დარჩება. ამის შესახებ ბუენოს-აირესში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 125-ე ყრილობაზე გადაწყდა.

შეგახსნებთ რომ, ჭიდაობის მოყვარულთ შვიდთვიანმა ლოდინმა მოუწიათ, რათა მათთვის საყვარელი სპორტის სახეობის ბედი გადაწყვეტილიყო. როგორც იცით, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჭიდაობის ორივე სახეობის (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული) პროგრამიდან ამოღება გადაწყვიტა და მიზეზად სპორტის ამ სახეობის არაპოპულარიზაცია, არასანახაობრივი მხარე და არასტაბილურობა დაასახელა.

ბუენოს აირესში მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მისი კონკურენტები სქვოში და ბეისბოლ-სოფთბოლი იყო. კენჭისყრის შემდეგ ჭიდაობამ 104 დელეგატიდან 49 ხმა მიიღო და საწადელს არჩევნების პირველსავე რაუნდში მიაღწია.

ლუკა კურტანიძე, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი:

— ეს არის უდიდესი ნდობა და ამასთან, უდიდესი პასუხისმგებლობა მთელი ჭიდაობის სამყაროსთვის — ყველანი ერთად!

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



## ხელოვნების მუზეუმში ხატებს გამოფენენ



10 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი მიხეილ მჭედლიშვილის ნაქარგი ხატების გამოფენას „ნათელი სოფლისა“ უმასპინძლებს.

როგორც ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა განაცხადა:

— მხატვარ-გრავიურისტი მიხეილ მჭედლიშვილის ნამუშევრები ერთი შეხედვით დაფაზე დაწერილ ხატებს ჰგავს, თუმცა საღებავების ნაცვლად ავტორი იყენებს აბრეშუმს, როგორც ძირითად მასალას, რაც დამატებით ამდიდრებს ნამუშევრებს ფერებით. მიხეილ მჭედლიშვილის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს აგრეთვე საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში. იგი არის არაერთი ჯილდოს მფლობელი. სხვადასხვა წლებში მიხეილ მჭედლიშვილის არაერთი პერსონალური გამოფენა გაიმართა თბილისსა და მოსკოვში.

გამოფენა „ნათელი სოფლისა“, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მიხეილ მჭედლიშვილის 43 ნამუშევარი ხელოვნების მუზეუმში 3 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

*ეკა ირემაშვილი*

## კროსვორდი ა

შვეულად: 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 11. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 12. დიდი დასახლებული პუნქტი; 14. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფეს ძველებური სახელწოდება; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. კუს ტბის ძველებური სახელწოდება; 22. უნგრული ღვინო.

თარაზულად: 6. საეკლესიო წესების კრებული; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. მთათა სახელწოდება შუა აზიაში; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. სამონასტრო კომპლექსი ქსნის ხეობაში; 20. ჯიხვების ჯოგი; 21. წარმართული რელიგიის მსახური; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის მამამთავარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## რევაზ თავართქილაძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს




ქართულმა თეატრალურმა სამყარომ დიდი დანაკლისი განიცადა. 84 წლის ასაკში ცნობილი ქართველი მსახიობი რევაზ თავართქილაძე გარდაიცვალა. თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო საბავშვო თეატრის მსახიობი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მუშაობდა თეატრში და სცენაზე იდგა. ბაქოში დაბადებული ხელოვანი ქართველი მაყურებლისთვის გამორჩეულად საყვარელი, მის მიერ შესრულებული როლები კი საოცრად შთამბეჭდავი და ადუვიწყარი იყო.

თეატრალური უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მსახიობმა მუშაობა მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიწყო და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. პარალელურად, ბატონი რეზო თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობის პედაგოგად მუშაობდა. პარალელურად, ახერხებდა სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის „თეთრი ტალღა“ მსახიობი ყოფილიყო, სადაც ათი წელი გაატარა, თეატრთან არსებულ სტუდიაში კი მსახიობის ოსტატობის პედაგოგად მუშაობდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში ერთი სეზონი მოღვაწეობდა სოხუმის ქართულ დრამატულ თეატრში. ცალკეულ როლებზე მიწვეული იყო სხვადასხვა თეატრში, მათ შორის, მარჯანიშვილის, თბილისის სატირისა და იუმორის, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დრამატულ, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა, სამეფო უბნის თეატრში, მერაბ კოსტავას სახელობის თეატრში. ვაკის სარდაფში დაიდგა სპექტაკლი „სისხლი სისხლის წილ“ ლაშა თაბუკაშვილის პიესის მოტივებზე, სადაც მან განასახიერა იონას როლი. ამისთვის მსაზიობს მიენიჭა პრემია „დურუჯი“ მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის. რევაზ თავართქილაძე იყო ანსამბლ „რეროს“ კონფერანსიე. სცენაზე შესრულებული აქვს 135 როლი, გადაღებულია 10 მხატვრულ ფილმში, მონაწილეობდა სატელევიზო დადგმებში, 400-ზე მეტ რადიოდადგმაში, გახმოვანებული აქვს 2000-ზე მეტი ფილმი.

რევაზ თავართქილაძეს აპრილის თვეში მშობლიური თეატრის წინ საზეიმო ვითარებაში ვარსკვლავიც გაუხსნეს. ეს იყო პირველი ვარსკვლავი ამ თეატრის წინ, რომელიც რევაზ თავართქილაძეს ეკუთვნოდა. იგი არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია, მათ შორის თეატრების საკავშირო პრემიების ლაურეატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, მიღებული აქვს ღირსების ორდენი, მერიის ჯილდო „ამაგდარი“, წლების მანძილზე იყო საქართველოს რადიოკომიტეტის დიქტორი და რადიოსპექტაკლების მონაწილე. სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მუშაობდა თბილისის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში. მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში რეჟისორმა ოთარ ბაღათურიამ აღადგინა შალვა გაწერელიას სპექტაკლი „კუკარაჩა“, რომელშიც ბატონმა რეზომ მოშეს როლი ითამაშა. მის მიერ განსახიერებული ბოლო როლი აღმოჩნდა სპექტაკლში „ირინეს ბედნიერება“, რომელიც რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა დადგა.

როგორც მოზარდმაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა განაცხადა, რევაზ თავართქილაძე უდავოდ დიდი დანაკარგია არა მარტო მოზარდმაყურებელთა თეატრისთვის, არამედ ზოგადად ქართული თეატრისთვის.

რევაზ თავართქილაძის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომაც და მსახიობის კოლეგების წუხილი გაიზიარა.

მსახიობი დაკრძალვამდე ერთი დღით ადრე მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე დაასვენეს და სწორედ იქიდან გააცილეს უკანასკნელ გზაზე ტაშითა და ოვაციების თანხლებით. მსახიობი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

*ეკა ირემაშვილი*

## ბერა საქართველოში ტურნეს იწყებს

*ეკა ირემაშვილი*

რეპერი ბერა, რომელიც საქართველოში არაერთი მოზარდის გულთამპყრობელია საქართველოს ქალაქებში საკონცერტო ტურნეს იწყებს. კონცერტები 14 სექტემბერს ბათუმიდან დაიწყება და საქართველოს სხვა ქალაქებში გაგრძელდება. კომპანია „ჯორჯიან დრიმს სტუდიო“ ავრცელებს საკონცერტო ტურნეს განრიგს, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რომელ ქალაქებში ჩავა ბერა. ბათუმის შემდეგ მომღერალი 17 სექტემბერს ოზურგეთს ეწვევა, 20 სექტემბერს – ზუგდიდს, 24 სექტემბერს – ქუთაისს, 29 სექტემბერს – საჩხერეს, 3 ოქტომბერს – ახალციხეს, 5 ოქტომბერს – გორს, 9 ოქტომბერს – თელავს, 12 ოქტომბერს – რუსთავს და 25 ოქტომბერს – თბილისს. მომღერლის საკონცერტო ტურნე საქართველოს დედაქალაქში დასრულდება.

„ჩვენ ვართ საქართველო“ – ასე ეწოდება კონცერტებს, რომელსაც რეპერი გეგმავს. ორთვიანი ტურნეს საკონცერტო პროგრამაშია როგორც ძველი და კარგად ნაცნობი, ასევე სრულიად ახალი სიმღერები. შოუპროგრამების მოსაწყობად „ჯორჯიან დრიმს სტუდიომ“ ფრანგი ქორეოგრაფიც საგანგებოდ მოიწვია, რომელმაც ქართველ და უცხოელ მოცეკვავეებთან ერთად იმუშავა.



როგორც ცნობილია, ბერა საქართველოს რეგიონებს პირველად არ სტუმრობს. მომღერალმა გასულ წელსაც სწორედ შემოდგომაზე მოაწყო კონცერტები საქართველოს ქალაქებში და ის მის პირველ ალბომს „გპირდები“ მიეძღვნა, რომელიც რეპერმა შარშან წლის ბოლოს გამოსცა. განსხვავება ისაა, რომ შარშან ბერამ კონცერტები მშობლიური საჩხერედან დაიწყო, წელს კი არჩევანი ბათუმზე შეაჩერა, რადგან ხავერდოვან სეზონზე ზღვაზე დარჩენილი მსმენელისთვის იმღეროს.

— ჩემს ცხოვრებაში პირველ სოლოკონცერტს ჩემს მშობლიურ მიწაზე – საჩხერეში გავმართავ! დანარჩენ თარიღებს მალე გაცნობებთ. ტურნე – „გპირდები“ იწყება!!! – დაწერა „ფეისბუქში“ მომღერალმა.

ზაფხული მომღერალმა საკმაოდ აქტიურად გამოიყენა. ის ლოს ანჯელესში იმყოფებოდა, სადაც ახალი კლიპი გადაიღო. როგორც მომღერალმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა:

— ჩემო ძვირფასებო! ერთი კვირაა, რაც დავბრუნდი ლოს ანჯელესიდან, სადაც დავასრულე ჩემი ახალი კლიპის გადაღება. „სამართაიმ“ ნამდვილების ზაფხულის ჰიტი!

ამით დაიწყება ჩვენი დიდი ოჯახის საერთაშორისო არენაზე გასვლა. ამერიკა – ჩვენი დროა!!!

ბერას პირველ სოლოკონცერტს ნახევარ მილიონზე მეტი მსმენელი დაესწრო, რამდენი ადამიანის შეკრებას შეძლებს ამჯერად მომღერალი, ტურნეს დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

## ასტროპროგნოზი

9 სექტემბრისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დიდი წარმატება გელოდებათ, მოემზადეთ. **კურო** — ფული გაქვთ, საყიდლებზე წადით. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა. **კირჩხიბი** — არავის ენდოთ, მხოლოდ ახლობლებს. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ფულს იშოვით, პრობლემა მოგეხსნებათ. **მშვილდოსანი** — გზიდან ფულსა და ახალ ამბავს ელოდეთ. **თხის რქა** — წარსულიდან ვიღაც გამოჩნდება, მას თქვენთვის ახალი ამბავი აქვს. **მერწყული** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **თევზები** — იფიქრეთ და გადაწყვეტილებას თქვენვე მიიღებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!